პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ცაკის ორგანო

№ 120 (5221) | შაბათი, 28 მაისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა ხალხის კანდიდატები („პრავდის“ მოწვინავე).

სანიმუშოდ მოვემზადოთ მოსავლის აღებისათვის (1-ლი გვ.).

სიამაყით მივცემთ ხმას ამხანაგ **სტალინს** (1-ლი გვ.).

ხმას მივსცემთ ამხანაგ **მოლოტოვს** (1-ლი გვ.).

გრ. ჩაჩიბაია — რაიონული პარტიული კონფერენციის წინ (მე-2 გვ.).

ი. შამუგია — პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ახალ მავლობის ნიშნით (ფელეტონი. მე-2 გვ.).

ს. თავაძე — აყვავებული ბუხრია (ფელეტონი. მე-3 გვ.).

უცხოეთში:

ჩეხოსლოვაკია ფაშისტური გერმანიის თავდასხმის წინაშე (მე-4 გვ.).

ჩემბერლენის განცხადება (მე-4 გვ.).

ჩერჩილის გამოსვლა (მე-4 გვ.).

საბჭოთა ხალხის კანდიდატები

გუშინ საოლქო საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციაში გაატარეს რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. უკანასკნელ დღეებში უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები რეგისტრირებულ იქნენ დანარჩენ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელნი უდიდესი აღტყინებითა და აღფრთოვანებით მიუდგნენ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანას — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა, დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას. ურიცხვ კრებებსა და მიტინგებზე გაისმოდა მღელვარე მთელი გულის სიღრმიდან მოჭდინარე სიტყვები, გამსჭვალულნი ამ ამოცანის მთელი მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობის შეგნებით. კრებების მონაწილეებმა—ათეული მილიონობით მუშებმა, გლეხებმა, მოსამსახურეებმა, ინტელიგენციამ —გამოხატეს თავისი ნება-სურვილი, წამოაყენეს რა საბჭოთა ხალხის უკეთესთა შორის საუკეთესონი. ღირსეული ვაჟიშვილები და ქალიშვილები.

ამხანაგ სტალინის სახელი, მისი უახლოესი თანამებრძოლების სახელები გაისმოდა ყველა საარჩევნო კრებაზე, ყველა საოლქო წინასაარჩევნო თათბირებზე. ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს უზარმაზარ სივრცეებზე არ არის არცერთი კუთხე, სადაც არ იგრძნობოდეს სოციალიზმის იმ მსოფლიო - ისტორიულ გამარჯვებათა ნაყოფი, რომლებიც მოპოვებულია პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით. სტალინის — დიდი ლენინის თანამებრძოლისა და მისი საქმის ერთგული განმგრძობის სახელი, იმ ხუთწლედების შემოქმედის სახელი, რომლებმაც გარდაქმნეს ჩვენი ქვეყანა, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემქმნელის სახელი—გაისმის ათეულ ენებზე, როგორც სსრკ ხალხთა ძმური თანამეგობრობის განსახიერება, როგორც ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის უდიდეს გამარჯვებათა დროშა.

„ჩვენი გული აღსავსეა სიამაყით იმ შეგნების გამო, თუ რა დიდი პატივია ხმა მისცე იმას, ვისაც გაწუხარულად მიჰყავდა და მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ლენინური გზით, ვინც დაიცვა ლენინიზმი პარტიისა და ხალხის ყველა მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში, იმას, ვისი სახელიც საბრძოლო დროშაა ყველა მშრომელისათვის,—დიდ სტალინს“, — ამბობდა გუშინ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა მიტინგზე მასწავლებელი გოგოლევა.

ამხანაგი სტალინი და ამხანაგი მოლოტოვი რეგისტრირებული არიან უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში. უდიდესი სიხარულითა და სიამაყით მისცემენ ხმას ამხანაგ სტალინს, მოლოტოვის, კალინინს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, ანდრეევს, მიქოიანს, ჩუბარის, ჟდანოვის, ეჟოვის კანდიდატურებს იმ ოლქების ამომრჩევლები, სადაც რეგისტრირებულია მათი კანდიდატურები. და ყველა დანარჩენ უამრავ საარჩევნო ოლქში მშრომელები ყუთებთან მივლენ ისე, რომ გულში ეჭნებათ მთელი საბჭოთა ხალხის პირველი კანდიდატის — ამხანაგ სტალინის სახელი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა სახელები და ხმას მისცემენ კომუნისტთა და უპარტიოთა უძლეველი სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ჩვენი პარტია გამოდის არჩევნებში ისე, რომ უპარტიო მასებს კი არ სწყდება, არამედ, პირიქით, უთანხმდება უპარტიოებს საერთო კანდიდატის წამოყენების შესახებ. წამოყენებულ და რეგისტრირებულ კანდიდატთა შორის — კომუნისტებთან ერთად ბევრია უპარტიო. ესენი არიან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები. ბოლომდე ერთგულნი ლენინ-სტალინის უკვდავი საქმისა.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკმა მტკიცედ და ურყევად მოიკიდა ფეხი საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და ყოფაში. ეს ბლოკი გამოჭედილია 1917 წლის დიდი ოქტომბრის იერიშების დღებში, შედუღაბებულია ხალხის საუკეთესო შვილთა სისხლით სამოქალაქო ომის წლებში, გამოწრთობილია სტალინური ხუთწლედების გიგანტური საამშენებლო მუშაობის ცეცხლში. ლენინ-სტალინის პარტიამ ჩვენი სამშობლო მიიყვანა სოციალიზმის უჭკნობ გამარჯვებამდე, ბრწყინვალე და მრავალფეროვან, ბედნიერ და სასიხარულო ცხოვრებამდე. ბოლშევიკების პარტია ძლიერი და უძლეველია თავისი სისხლხორცეული კავშირით ხალხის უფართოეს მასებთან, რომელნიც სრული უფლებითა და ურყევი რწმენით ხედავენ მასში თავის ერთგულ ბელადსა და ხელმძღვანელს.

კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები ანსახიერებენ მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის რჩეულ ნაწილს. აქ არიან რუსები და ყაზახები, უკრაინელები და უზბეკები, ტაჯიკები და ყირგიზები, ბელორუსები და ქართველები, თურქმენები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბაშკირები, თათრები, — იმ მრავალრიცხოვან ეროვნებათა წარმომადგენლები, რომელთათვის ჩვენი სოციალისტური სამშობლო მშობლიური სახლს წარმოადგენს.

კანდიდატებს შორის არიან ლენინ-სტალინის პარტიის ნაცადი მებრძოლები. და მათ გვერდით — სტალინური ეპოქის საუცხოო ნორჩი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები: ოქტომბრის ასაკის კომკავშირელი-ქალი ა. ი. რებროვა. კოლმეურნე — ხუთასოვანი (ვორონეჟის ოლქის ვერხნე - ხავსკის საარჩევნო ოლქი), კომკავშირელი —მასწავლებელი-ქალი ა. ა. კუბანოვა (ორჯონიკიძის მხარის მიქოიან-შახარის საარჩევნო ოლქი), კომკავშირელი — წითელფლოტელი ტ. ზ. ტარასოვი (არხანგელსკ-პრომორიის საარჩევნო ოლქი) და სხვები.

კანდიდატებს შორის არიან სოციალისტური შრომის შესანიშნავი ოსტატები, გაბედული ნოვატორები, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ გზებს ჰკაფავენ, წარჩინებული სტახანოველები, როგორიც არიან ვ. ი. ნედოსეკინი (სვერდლოვსკის—სტალინის საქალაქო საარჩევნო ოლქი), ე. ე. ორეშკინა (ჩელიაბინსკის—ლენინის საქალაქო საარჩევნო ოლქი).

კანდიდატებს შორის არიან საკოლმეურნეო სოფლის ახალი ადამიანები, სოციალისტური სასოფლო მეურნეობის მოწინავეები, როგორიც არიან რგოლის ხელმძღვანელი კოლმეურნე ქალი ვ. ა. ჩალოვა (კურსკის ოლქის კორენევსკის საარჩევნო ოლქი), ტრაქტორისტ-ბრიგადირი ს. მ. კრექსტენი (ვორონეჟის ოლქის როსოშანსკის საარჩევნო ოლქი) და სხვები.

დეპუტატობის კანდიდატთა შორის წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის გმირთა სახელოვანი პლეადა, რომლებმაც გვიჩვენეს განსაცვიფრებელი ნიმუშები მამაცობისა და გულადობისა სოციალისტური სამშობლოს დაცვაში, როგორც კაპიტანი მ. ვ. იუდინი (ქ. ლენინგრადის ფრუნზეს საარჩევნო ოლქი), მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები, როგორც ორდენოსანი მფრინავი მ. მ. პოლივალოვი (ქ. გომელის სტალინის საარჩევნო ოლქი, ბსსრ) და სხვები.

კანდიდატებს შორის არიან საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, როგორც მასწავლებელი ა. პ. პისკარიოვი (მოსკოვის ოლქის პავლოვოპოსადის საარჩევნო ოლქი), ინჟინერი ნ. გ. პშენიჩნიკოვი (ვოლგის გერმანელთა ასსრ ხორკომბინატის საარჩევნო ოლქი), მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ს. ლ. სობოლევი (ქ. მოსკოვის გერცენის საარჩევნო ოლქი), ორდენოსანი პოეტი ვ. ი. ლებედევ-კუმაჩი (ქ. მოსკოვის ფრუნზეს საარჩევნო ოლქი), არქიტექტორი ა. გ. მორდვინოვი (ქ. მოსკოვის საბჭოთა საარჩევნო ოლქი) და სხვ.

საბჭოთა წყობილების შესანიშნავი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სახელმწიფო ცხოვრების მმართველობაში აბამს მშრომელთა სულ ახალ-ახალ ფენებს. მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის ათასობით კანდიდატები — ესენი არიან თვით ხალხის შუაგულიდან გამოსული შესანიშნავი, ტალანტიანი, ნიჭიერი ადამიანები.

საარჩევნო კამპანია ყოველდღე, ყოველ საათს გვიჩვენებს ურიცხვ მაგალითებს, რომ „ხალხის მტრებთან ბრძოლიდან ჩვენ სრულიადაც არ გამოვსულვართ დასუსტებულნი. პირიქით, ჩვენ კიდევ უფრო განვმტკიცდით და კიდევ უფრო მეტად ვართ დარწმუნებულნი ჩვენი საქმის სრულ გამარჯვებაში“. (მოლოტოვი).

ხალხის მტრებთან ბრძოლაში გამოიჭედნენ შესანიშნავი კადრები, ბოლომდე ერთგულნი სოციალისტური სამშობლოსი, კომუნიზმის საქმისა. საბჭოთა ხალხის კანდიდატები ისეთი ადამიანები არიან, რომელთათვის ამხანაგ სტალინის დაუვიწყარი სიტყვები ლენინური ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა შესახებ, ნათელ და გარკვეულ, ბრძოლაში უშიშარ და ხალხის მტრებისადმი ულმობელ მოღვაწეთა შესახებ განაწესს წარმოადგენენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

საარჩევნო კამპანიის ახალი ეტაპი გაჩაღებულია. ფართოდ გავშალოთ აგიტაცია კანდიდატებისათვის, დავიყვანოთ თვითეული ამომრჩევლის შეგნებამდე არჩევნებში აქტიური მონაწილეობის უდიდესი მნიშვნელობა, მივაღწიოთ იმას, რომ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნები კიდევ უფრო უკეთ, კიდევ უფრო ორგანიზებულად ჩატარდეს, ვიდრე 1937 წლის 12 დეკემბრის სამახსოვრო დღის არჩევნები ჩატარდა,—ეს არის ყველა პარტიული ორგანიზაციის ღირსების საქმე, პროფესიული კავშირების, კომკავშირისა და სხვა უპარტიო ორგანიზაციების ღირსების საქმე, ყველა კომუნისტისა და მრავალმილიონიანი უპარტიო აქტივის ღირსების საქმე.

„პრავდის“ მოწვინავე, 27/V

სიამაყით მივსცემთ ხმას ამხანაგ სტალინს

ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა მიტინგი. დაესწრო 130.000 კაცი

ფართო სტადიონი „კრასნაია ზვეზდა“ სადღესასწაულოდ არის მორთული. აქ თავი მოუყრია 130.000 კაცს, რის გამო ტევა აღარ არის. უსაზღვრო სიყვარულის და ერთგულება ბოლშევიკთა პარტიისა და მშობლიური ამხანაგი სტალინისადმი—ამ გრძნობით არის აღსავსე დედაქალაქის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა გული, რომლებიც მოსულან რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ მიტინგზე.

26 მაისს, საღამოს 5 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. ჩერნოუსოვი მოკლე სიტყვით ხსნის მიტინგს.

— ამხანაგებო! — ამბობს **ამხ.** ჩერნოუსოვი, — მე უნდა გადმოგცეთ სასიხარულო ამბავი. სტალინის ჩვენს საარჩევნო ოლქში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისყრის თანხმობა მოგვცა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადმა ჩვენმა მშობლიურმა ამხანაგმა **სტალინმა.**

სტადიონზე დიდხანს გრიალებს მქუხარე ოვაცია. გაისმის „ვაშას“ სასიხარულო ყიჟინა და მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ სტალინს!“, „ვაშა ამხანაგ სტალინს!“

პირველ სიტყვას იღებს ფრუნზეს სახელობის ქარხნის უფროსი ოსტატი ამხ. ა. კ. ნოსოვი.

— ამხანაგებო! დიდი სიხარულისა და უდიდესი ბედნიერების გრძნობით ვხვდებით ჩვენ, სტალინის ოლქის მშრომელები, — ამბობს ამხ. ნოსოვი, — ხალხთა ბელადის დიდი სტალინის თანხმობას კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში რუსეთის სფსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატობაზე. (ტაში).

მოხარული ვართ და ვამაყობთ ამით, რომ ჩვენ, მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელები, კვლავ ღირსნი გავხვდით დიდი ბედნიერებისა და მაღალი ნდობისა.

ჩვენ, სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელნი, ერთსულოვნად მივცემთ ხმას ამხანაგ **სტალინს** იმიტომ, რომ მან მთელი თავისი ცხოვრება შესწირა მუშათა კლასის საქმისთვის ბრძოლას.

ჩვენ ერთსულოვნად მივცემთ ხმას ამხანაგ სტალინს იმიტომ, რომ იგი არის ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა ძლიერ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაიქცა, საბჭოების მრავალრიანი ქვეყნის ხალხებმა სოციალიზმის გამარჯვებას მიაღწიეს, განადგურებულია ყველა კრაზანის ბუდე კონტრრევოლუციისა და ბოლომდე მოსპობილ იქნებიან ფაშიზმის ტროცკისტ-მემარჯვენე აგენტები.

მღელვარებით და სიხარულით აღსავსე იყო მიტინგზე გამოსული ყველა დანარჩენი ამხანაგის სიტყვები.

ყველა ისინი ამხანაგ სტალინისაკენ მიმართავდნენ სიყვარულისა და მისალმების მხურვალე სიტყვებს, მადლობას უხდიდნენ დიდი პატივისა და ნდობისათვის, იმისთვის, რომ იგი დათანხმდა სტალინის საარჩევნო ოლქში იყაროს კენჭი რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

მკაფიო სიტყვა წარმოსთქვა საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელმა ამხ. ა. ი. უგაროვმა. ამხ. უგაროვის უკანასკნელმა სიტყვებმა მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია გამოიწვია. ვეებერთელა სტადიონის ყოველ კუთხიდან მოისმოდა აღფრთოვანებული შეძახილები:

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს!**

ამხანაგ **სტალინს** — ვაშა!

გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურ ბლოკს!

მქუხარე ტაშის გრიალში მიტინგის 130.000 მონაწილემ ერთხმად მიიღო მიმართვა ამხანაგი სტალინისადმი.

ხმას მივსცემთ ამხანაგ მოლოტოვს

ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა მიტინგი. დაესწრო 120.000 კაცი

ქარხნიდან ქარხანაში, დაწესებულებებსა და სამხედრო ნაწილებში ელვის სისწრაფით გადადიოდა ამბავი, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვმა** მისცა თანხმობა კენჭი იყაროს მოლოტოვის საარჩევნო ოლქში. ამ ამბავმა სიამაყით აღავსო ასი ათასობით მშრომელთა გული, რომლებსაც წილად ხვდათ უდიდესი პატივი ხმა მისცენ ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილ ორგანიზატორს, მშრომელი ხალხის ერთგულ შვილს, ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** უახლოეს თანამებრძოლს.

26 მაისს საღამოს 6 საათისათვის საარჩევნო ოლქში შემაჯალი ქარხნებისა და ფაბრიკების 120 ათასი მუშა, ინჟინერი და მოსამსახურე გაეშურა კურსკის ვაგზლის მოედნისაკენ მოლოტოვის საარჩევნო ოლქის მშრომელთა მიტინგზე, რომელიც მიძღვნილი იყო რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი.

მიტინგი გახსნა საკ. კ. პ. (ბ) მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. გ. ემელიანოვმა.

სიტყვა ეძლევა კლარა ცეტკინის სახელობის ფაბრიკის სტახანოველ ქალს ამხ. ა. პ. მურაშოვას.

— ჩვენ, კლარა ცეტკინის სახელობის ფაბრიკის მუშები, მუშა-ქალები და მოსამსახურეები ჩვენი ოლქის ყველა ამომრჩეველთან ერთად, — განაცხადა ამხ. მურაშოვამ,—უსაზღვროდ მოხარული ვართ, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლი — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი დათანხმდა კენჭი იყაროს რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ჩვენს, მოლოტოვის საარჩევნო ოლქში (**მქუხარე ტაში, შეძახილები „ვაშა“**).

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვისათვის ხმის მიცემით ჩვენ ხმას მივცემთ ჩვენს მშობლიურ და უძლეველ ლენინ-სტალინის პარტიას და ჩვენს ბელადს — ამხანაგ **სტალინს,** ხმას მივცემთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ გაფურჩქვნას, კომუნიზმის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში!

მიტინგზე გამოსულმა ყველა ამხანაგმა ათიათასობით მშრომელის სახელით განაცხადა, რომ მოლოტოვის ოლქის ამომრჩევლები თავის ხმას მისცემენ ლენინისა და სტალინის ღირსეულ თანამებრძოლს — ამხანაგ **მოლოტოვს.**

მიტინგის მონაწილეებმა დიდის აღფრთოვანებით, მქუხარე ტაშის გრიალში მიიღეს მიმართვა ამხანაგ **მოლოტოვისადმი** და მისალმება ამხანაგ **სტალინისადმი.**

ამხანაგი ი. ბ. სტალინი რეგისტრირებულია

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურათა წამოყენების შესახებ, ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა: გატარებულ იქნას რეგისტრაციაში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის ყრელად ქ. მოსკოვის სტალინის № 2 საარჩევნო ოლქში ამხანაგი **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.** რომლის კანდიდატურა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე წამოყენებულია № 1 ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობის, ელექტროსალამპო, კუიბიშევის სახელობის სატრანსფორმატორო, მანქანათმშენებლობის, მაგარი შენადნობების, ფრუნზეს სახელობის, ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საპროექტორო, ლენინის სახელობის საელექტრომოტორო ქარხნების მუშათა, მუშა-ქალთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრებების მიერ, რომლებსაც დაესწრო 34.200 კაცი.

ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი რეგისტრირებულია

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურათა წამოყენების შესახებ, ქალაქ მოსკოვის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა: გატარებულ იქნას რეგისტრაციაში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის ყრელად ქალაქ მოსკოვის მოლოტოვის № 3 საარჩევნო ოლქში **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი,** რომლის კანდიდატურა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე წამოყენებულია ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ქარხანა „ტოჩიზმერიტელის“, კლარა ცეტკინის სახელობის ფაბრიკის, ქარხანა „მანომეტრის“, მოსკოვის სავაზო ქარხნის, კომინტერნის სახელობის № 1 „მოსკვორშვეის“ ფაბრიკის და ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის რკინიგზის მოსკოვ-პირველის საორთქლმავლო დეპოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრებების მიერ, რომლებსაც დაესწრო 13.760 კაცი.

სანიმუშოდ მოვემზადოთ მოსავლის აღებისათვის

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მეათე ყრილობაზე ამხანაგი **ლავრენტი ბერია** ამბობდა: „ამხანაგმა **სტალინმა** 1935 წლის დეკემბერში ჩვენი ქვეყნის წინაშე ამოცანად დასახა — უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში მივაღწიოთ — 7-8 მილიარდი ფუთი პურის წარმოებას საბჭოთა კავშირში. ეს კიდევ უფრო შეტად გვავალებს ჩვენ — საქართველოს ბოლშევიკებს ავიყვანოთ 1940 წლისათვის მარცვლეულის სათესი ფართობები 900 ათას ჰექტარამდე. გავდიდოთ მოსავლიანობა ჰექტარზე 15 ცენტნერამდე და მთელი მარცვლეულის მოსავალი — 80 მილიონ ფუთამდე და საკუთარი პურით ძირითადად დავაკმაყოფილოთ საქართველოს მოთხოვნილებანი“.

ეს საბრძოლო დავალება გვავალებს დროზე და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი. ცხრობილია, რომ მაღალი მოსავალი თავისთავად არ მოდის, იგი უნდა მოვიპოვოთ. ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ მოსავლის აღებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებამ აღაფრთოვანა კოლმეურნენი მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. ყოველ დღეს ახალ-ახალი წარმატებანი მოაქვს. სოციალისტური მიწათმოქმედების ადამიანები არჩევნებისათვის მზადების დღეებში აძლიერებენ სამუშაოთა ტემპებს. ორმაგად, სამმაგად და კიდევ მეტად ასრულებენ გამომუშავების ნორმებს, რათა ბრწყინვალე მაჩვენებლებით შეხვდნენ სახალხო დღესასწაულის დღეს — 12 ივნისს. კოლმეურნე გლეხობას უსაზღვროდ ერთგულია ბოლშევიკური პარტიისა, დიდი **სტალინისა,** რომელმაც კოლმეურნე გლეხობას შეძლებული, საამური ცხოვრება შეუქმნა.

ახლა უკვე შევედით ისეთ პერიოდში, როცა დღეები სწყვეტენ მოსავლის აღებისათვის წარმატებით მომზადებას. ძვირფასია თვითეული დღე. თვითეული საათი — აი რა უნდა იქნას მტკიცედ გათვალისწინებული. პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სამეწარმოო-მეწარმეო ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, სოციალისტური მიწათმოქმედების ყველა მუშაკს მტკიცედ უნდა ახსოვდეს ამხანაგი სტალინის ცნობილი სიტყვები: „მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. დროზე აიღებ — მოიგებ, დააგვიანებ მოსავლის აღებას — წააგებ“.

საქართველოში წელს მარტო კომბაინებით თავთავიანი მარცვლეული კულტურები აღებული უნდა იქნას დაახლოებით 83 ათასი ჰექტარი, ეს ციფრი ნათლად მოწმობს, თუ როგორ იზრდება ჩვენში მოსავლის აღების მექანიზაცია.

სამეწარმოო-მეწარმეო ორგანოების სუსტი მუშაობის შედეგია ის, რომ 20 მაისისათვის საქართველოს მტს-ებში კომბაინების რემონტის გეგმა შესრულებული იყო 60,8 პროცენტით, როცა რემონტის დამთავრების დაწესებული ვადა უკვე ამოიწურა.

იმ რაიონებშიაც კი, სადაც მოსავლის აღება ყველაზე უფრო ადრე იწყება, კომბაინების შეკეთება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. მაგალითისათვის დავასახელებთ წნორისა და წითელ-წყაროს მტს-ებს. კარგ მუშაობას ვერ დაიკვეხნიან ამ მხრივ აგრეთვე გორის, საგარეჯოსა და გურჯაანის მტს-ები.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სალეწების შეკეთების მხრივ. 423 სალეწიდან შეკეთებულია 73, გეგმის 17,2 პროცენტი. 20 მაისისათვის ეს სამუშაო დაწყებული არ ჰქონდათ ოსიაურის, კასპის, კაჭრეთისა და წალკის მტს-ებს. ასეთია ამ მტს-ებს დირექტორების „ოპერატიული“ მუშაობის სტილი.

ყურადღებას იპყრობს ტრაქტორის თვითმკვრელთა შეკეთების დაბალი ტემპები. ამას ემოწმობს ის, რომ 20 მაისისათვის თვითმკვრელთა შეკეთების გეგმა საქართველოს მტს-ებში შესრულებული იყო 55,9 პროცენტით. ავარის, გორისა და საგარეჯოს მტს-ებს ამ რიცხვისათვის ეს სამუშაო დაწყებული არ ჰქონდათ. ამ მტს-ების დირექტორებს ალბათ ჰგონიათ, რომ ამ სამუშაოს ვილაც სხვა შეასრულებს. განა მოსავლის ასაღები იარაღ-მანქანების შეკეთებაში მტს-ების ცუდი მუშაობისათვის პასუხისმგებელი არ არიან ამ რაიონების პარტკომები?

არ შეიძლება არ აღინიშნოს მიწსახკომის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა მოსავლის აღებისათვის საჭირო ტექნიკური კადრების მომზადების საქმეში, კერძოდ კი კომბაინერთა მომზადებაში. ეს მაშინ, როცა კომბაინერთა მომზადება პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს. მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველომ ვერ უზრუნველჰყო კომბაინერთა კურსების ორ ნაკადად დაკომპლექტება მსმენელთა საჭირო კონტინგენტით. გეგმით უნდა მომზადდეს 150 კომბაინერი. თითქმის ნახევარი ძალიან დაგვიანებით იქნა დაკომპლექტებული.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომბაინების მომავრებას განსაზღვრულ კომბაინერებსა და მათ თანაშემწეებზე. გასული წლების პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ ეს წესი ხშირად გაუპირობებას და იწვევს კომბაინერთა დაინტერესებას მაღალნაყოფიერი მუშაობით. მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ არასაკმაოდ არის გაშლილი მუშაობა კომბაინერთა მისამაგრებლად განსაზღვრულ ნაკვეთებზე. მტს-ების დირექტორები ვალდებული არიან დაარჩიონ ეს სამუშაო.

ხალხის განადგურებული საბიზნარი მტრის — კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ბუხარინელ და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტ ბანდების ნაშთები შეეცდებიან ხელი შეუშალონ უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებას, რათა შეამცირონ კოლმეურნეობის შრომადღის ანაზღაურება, ხათი შემდგომი კეთილდღეობის ზრდა. ჩვენი ვალია კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ რევოლუციური სიფხიზლის დროშა და ბოლშევიკური შეუპოვრობით გავსრისოთ კოლმეურნე გლეხობის უბოროტესი მტრები.

ჯერ კიდევ დროა იმისათვის, რათა სასწრაფოდ გამოვასწოროთ ჩამორჩენა მოსავლის აღების მზადებაში. ფართოდ უნდა გაეშალოთ სოციალისტური შეჯიბრება და ისე სანიმუშოდ მოვემზადოთ მოსავლის აღებისათვის, როგორც ეს შეშვენის ორდენოსანი საქართველოს პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს.

---

29 მაისს, საღამოს 7 საათზე, შინსახკომის ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 3) იხსნება **საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონის**

XVIII პარტიული კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. არჩევნები.

რაიონულ პარტკონფერენციაზე არჩეულ დელეგატებს მანდატები ეძლევათ რაიკომში 26 მაისიდან: დღის 10 ს-დან 4 ს-მდე და საღამოს 7 ს-დან 12 ს-მდე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი

მ. ბარამია

თბილისის შაუმიანის № 17 საარჩევნო ოლქის მე-4 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა საერთო კრება. ტრიბუნაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. ს. გ. **ქარაპეტიანი.**
ფოტო შმელევისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ამხანაგები ს. ვ. ცინცაძე და მ. ი. ლაზარაშვილი

რეგისტრირებული არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად

ახალციხე, 26 მაისი (საკდესი). ახალციხის ქალაქის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად ლენინის საარჩევნო ოლქში ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინი.**

ჭ. ახშხაბადის რკინიგზის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგი ვიანჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი.**

ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ი. ეჭოვი, ა. ა. ჟდანოვი

რეგისტრირებული არიან ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად

რუსეთის სფს რესპუბლიკის ყველა ავტონომიურ რესპუბლიკაში მშრომელებმა წინასაარჩევნო კრებებზე თავის რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის პირველ კანდიდატებად უდიდესი აღფრთოვანებით დაასახელეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებმა იმის შესახებ, რომ რეგისტრაციაში გატარებულ იქნას ამხანაგი სტალინისა და მის უახლოეს თანამებრძოლთა კანდიდატურები დეპუტატობაზე, საყოველთაო სიხარული გამოიწვია.

ამხანაგები **ი. ბ. სტალინი** და **ვ. მ. მოლოტოვი** რეგისტრირებული არიან კარელიის ასსრ, თათართა ასსრ, ვოლგის გერმანელთა ასსრ, მორდვის ასსრ, ჩუვაშეთის ასსრ, უდმურტთა ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად.

ამხანაგი **მ. ი. კალინინი** რეგისტრირებულია თათართა ასსრ, მორდვის ასსრ, ყირიმის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად.

ამხანაგი **ნ. ი. ეჭოვი** რეგისტრირებულია თათართა ასსრ, ბაშკირეთის ასსრ, მორდვის ასსრ, ყირიმის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად.

ამხანაგი **ა. ა. ანდრეევი** რეგისტრირებულია თათართა ასსრ, მორდვის ასსრ, ყირიმის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად.

ამხანაგი **ა. ა. ჟდანოვი** რეგისტრირებულია მორდვის ასსრ, ყირიმის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად.

ამხანაგი **ლ. მ. კაგანოვიჩი** რეგისტრირებულია თათართა ასსრ, მორდვის ასსრ, ჩუვაშეთის ასსრ, ყირიმის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად.

ამხანაგი **მ. ი. კალინინი** რეგისტრირებულია თათართა ასსრ, მორდვის ასსრ, ყირიმის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად.

ამხანაგი **ნ. ი. ეჭოვი** რეგისტრირებულია თათართა ასსრ, ბაშკირეთის ასსრ, მორდვის ასსრ, ყირიმის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად.

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია მოსკოვში

მოსკოვი, 26 მაისი (საკდესი). დღეს დედაქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიებმა დაიწყეს რეგისტრაცია რსფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისა, რომელნიც დასახელებული არიან მუშათა, მუშა-ქალთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

რეგისტრირებული არიან დეპუტატობის შემდეგი კანდიდატები:

მოლოტოვის საარჩევნო ოლქში — **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.**

ბაუმანის საარჩევნო ოლქში — **ა. ი. უგაროვი.**

ფრუნზეს საარჩევნო ოლქში — ორდენოსანი პოეტი **ვ. ი. ლებედევ-კუმაჩი.**

გერცენის საარჩევნო ოლქში — **მათემატიკის პროფესორი ს. ლ. სობოლევი.**

კრინიგზის საარჩევნო ოლქში — ოქტომბრის რკინიგზის მემანქანე **ი. ზ. ბოდილევი.**

დოროგომილოვსკის საარჩევნო ოლქში—ს. პ. გორბუნოვის სახელობის ქარხნის ინჟინერი **დ. ა. ტიმოფეევი.**

კომინტერნის საარჩევნო ოლქში —შრომის სტახანოვური მეთოდების ინსტრუქტორი **პ. ს. ორლოვი.**

კრასნაია პრესნიას საარჩევნო ოლქში — ტრიოხგორნაია მანუფაქტურის ფეიქარი **ე. ვ. მასლენიკოვა.**

პირველი მაისის საარჩევნო ოლქში — მარტენის ღუმელთა ოსტატი **გ. მ. ილინი.**

პროლეტარსკის საარჩევნო ოლქში — სტალინის სახელობის ავტომქარხნის მექანიკური საამწყობლო საამქროს ოსტატი **ზ. ტ. ფედოროვი.**

ტაგანსკის საარჩევნო ოლქში — სახალხო მასწავლებელი **მ. პ. ტომილინა.**

ამხ. მაკარი ჯაში თავის ამომრჩევლებთან

25 მაისს სადგ. ნავთლუღის რკინიგზის სადგურის დიდ დარბაზში თავი მოიყარეს ნავთლუღის საარჩევნო ოლქში (№ 19) მცხოვრებმა ამომრჩევლებმა — რკინიგზის კვანძის, წისქვილკომბინატის, მაკარონის ფაბრიკის, ხორცკომბინატის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მათი ოჯახის წევრებმა. ამომრჩევლები შეგროვდნენ, რათა მათ წინაშე წარმდგარიყო მათ მიერვე დასახელებული და უკვე რეგისტრირებული, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. მაკარი ივანეს-ძე ჯაში.

საღამოს 6 საათზე ამომრჩევლებით გაჭედილ დარბაზში გამოჩნდა ამხ. ჯაში. ტაშითა და მისალმებათა ძახილით შეხვდნენ ამომრჩევლები კანდიდატის გამოჩენას.

— გაუმარჯოს ჩვენს კანდიდატს!

— გაუმარჯოს სოციალიზმის დიადი კონსტიტუციის შემქმნელს მშობლიურ სტალინს!

ისმოდა ძახილი დარბაზის ყოველი კუთხიდან. საამური და ბეღნიერი ცხოვრების შემომქმედის დიდი **სტალინის** პატივსაცემად.

ამომრჩეველთა კრება გახსნა ნავთლუღის საარჩევნო ოლქის №-7 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ს. ბუბნოვმა.** სიტყვებით გამოვიდნენ ამომრჩეველთა წარმომადგენლები —ორდენოსანი სტახანოველი, გზის ოსტატი ამხ. **დ. ირემაშვილი,** სტახანოველი რკინიგზელი ამხ. **ვას. გელაშვილი,** ნავთლუღის საარჩევნო ოლქის №-7 საუბნო საარჩევნო კომისიასთან გამოყოფილი ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. **ბოდკოია** და ნავთლუღის რკინიგზის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. **ი. ლუარსაბოვი.**

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ამხ. მაკარი ჯაში არის ლენინ-სტალინის პარტიისათვის თავდადებული და ხალხის მტრების წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი. ამიტომ მოუწოდებდნენ ისინი ყველა ამომრჩეველს, რომ 12 ივნისს ყველამ ერთსულოვნად მისცეს ხმა და აირჩიონ დეპუტატად ამხ. ჯაში.

დარბაზში ბუკ-ნაღარითა, ყვავილებით და დროშებით შემოვიდნენ რკინიგზის მე-8 სკოლის მოსწავლეპიონერები. პიონერთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა ფრიადოსანმა მოწაფემ **მძინარაშვილმა.** — ბედნიერი საბჭოთა ბავშვები ვამაყობთ, —სთქვა ორატორმა-პიონერმა, — რომ ვართ დიადი საბჭოთა სამშობლოს შვილები. 12 ივნისი, ისევე როგორც 1937 წლის 12 დეკემბერი, სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, როგორც დიდი სახალხო სიხარულისა და ზეიმის დღე. 12 ივნისს ყველა ჩვენი მახლობლები და მეზობლები უკლებლივ გამოვლენ, რათა მივიდნენ და ხმა მისცენ ხალხის კანდიდატებს.

დასასრულ კრების თავმჯდომარემ სიტყვა მისცა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამხ. მაკარი ჯაშს.

— ნავთლუღის საარჩევნო ოლქში მცხოვრებმა ამომრჩევლებმა,— განაცხადა თავის სიტყვის ბოლოს ამხ. ჯაშმა, — დიდი პატივი დამდეს და უაღრესი ნდობა გამომიცხადეს მით, რომ წარადგინეს ჩემი კანდიდატურა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე. დიდი მადლობა თქვენ, ამხანაგო ამომრჩევლებო, ასეთი ნდობისათვის. მე აღმზარდა ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, რომლის ერთგული შვილიც ვარ მრავალ ათას სხვა ჩემისთანასთან ერთად. ვიძლევი სიტყვას და მტკიცე დაპირებას, რომ მუდამ ვიქნები პარტიის ერთგული, ვიბრძოლებ ხალხის ინტერესებისათვის და შევეცდები ღირსეულად გავამართლო თქვენი ნდობა.

კრება დამთავრდა ტაშითა და შეძახილებით — გაუმარჯოს ჩვენი კონსტიტუციის შემომქმედს დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

— გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას!

ამხ. ს. მილშტეინი ამომრჩევლებთან

ამხ. სოლომონ რაფაილის-ძე მილშტეინი 26 კომისრის სახელობის № 14 საარჩევნო ოლქში მცხოვრებ ამომრჩეველთა კანდიდატია, წარდგენილი და რეგისტრირებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად.

26 მაისს, საღამოს, 26 კომისრის სახელობის რაიონში, სომხური დრამის სახელმწიფო თეატრში გაიმართა მე-14 საარჩევნო ოლქში მცხოვრებ ამომრჩეველთა შეხვედრა ამხ. ს. მილშტეინთან. ვეებერთელა სათეატრო დარბაზი გაჭედილი იყო ამომრჩევლებით. დეპუტატობის კანდიდატის გამოჩენას სცენაზე მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა.

ამომრჩევლებისა და მათი კანდიდატის შეხვედრისადმი მიძღვნილი კრება გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ლ. სებისკვერაძემ.

— დღეს აქ თავი მოვიყარეთ ამომრჩევლებმა, — სთქვა ამხ. სებისკვერაძემ,—რათა უფრო ახლოს გავიცნოთ ჩვენი კანდიდატი და ვუთხრათ მას, რომ შეეცადოს და გაამართლოს ჩვენი ნდობა. ჩვენ კი აქ სიტყვა უნდა მივცეთ ერთმანეთს, რომ 12 ივნისს მივალთ საარჩევნო ყუთებთან და ავირჩევთ ქვეყნის სახელოვან შვილებს, ხმას მივცემთ და უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის მაღალი უფლებებით შევმოსავთ ლენინ-სტალინის პარტიისათვის თავდადებულებს, ისეთებს, როგორიცაა ჩვენი კანდიდატი ამხ. სოლომონ მილშტეინი.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ პედაგოგი ამხ. ალ. კორინთელი, დიასახლისი ევ. ხერხეულიძე, ძველი მუშა გ. შიხიანი და დიასახლისი ა. ფარკატიანი.

ორატორები ლაპარაკობდნენ ბედნიერსა და საამურ ცხოვრებაზე და ჰალხთა ბელადზე, დიადი კონსტიტუციის შემომქმედზე — ამხანაგ სტალინზე, აყვავებულ საქართველოზე და მომავალი არჩევნების დღეზე—12 ივნისზე.

ამხ. მილშტეინმა ამომრჩევლების წინაშე გამოსვლისას განაცხადა:

— ის დიდი ნდობა და მაღალი პატივისცემა, რომელიც თქვენ ამხანაგო ამომრჩევლებო, აღმომიჩინეთ, ბევრს მავალებს და ამავე დროს მმატებს ძალასა და სიმხნევეს კიდევ უფრო თავდადებით ვიბრძოლო ლენინ-სტალინის საქმისა და ბედნიერი საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის. კომუნისტისთვის, ბოლშევიკისთვის ძვირფასია ხალხის ნდობა და პირობას გაძლევთ, რომ არასოდეს ვუღალატო ხალხს, ვიქნე მუდამ ერთგული ლენინ-სტალინის საქმისა და არ დავიშურო ძალა და ღონე ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ მუშაობაში.

კრება დამთავრდა ტაშითა და შეძახილებით — გაუმარჯოს ჩვენი კონსტიტუციის შემომქმედს დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

— გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას!

პარტიული ცხოვრება

რაიონული კონფერენციის წინ

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებისათვის ზუგდიდის პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ გაიშალა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. ამის შედეგად რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების უმრავლესობაში საანგარიშო-საარჩევნო კრებები საქმიანად, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა.

რა გვიჩვენა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა, როგორია ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების შედეგები?

საანგარიშო - საარჩევნო კამპანიამ გამოამჟღავნა კომუნისტების უდიდესი პოლიტიკური აქტივობა. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ კამათში მონაწილეობა მიიღო კრებების დამსწრეთა კომუნისტთა 69 პროცენტმა, მაშინ როდესაც გასულ წელს კამათში მონაწილეობა მიიღო დამსწრეთა მხოლოდ 34 პროცენტმა. აღსანიშნავია, რომ კამათში აქტიური მონაწილეობას ღებულობდნენ ისეთი კომუნისტებიც კი, რომლებიც წინათ იშვიათად გამოდიოდნენ კრებებზე და ნაკლებად აქტიურებად ითვლებოდნენ.

არჩევნების შედეგად ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში არიჩეულ იქნენ ყველაზე საუკეთესო და უნარიანი ბოლშევიკები, რომლებმაც საშუალება მისცეს, რომ შესწევდეთ უნარი ბოლომდე დაიცვან ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმე. აღარ იქნენ არჩეულნი ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც მოწყვეტილი აღმოჩნდნენ მასებს და ვერ შესძლეს წარმატებით ეხელმძღვანელათ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოსულმა კომუნისტებმა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების წინაშე დააყენეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები. როგორია ეს ამოცანები? მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი.

ინგურჭალამშენის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტმა ამხ. ნ. სერგეევმა აღნიშნა:

— ერთ დროს ჩვენ გატაცებული ვიყავით საძეურნეო საქმიანობით და ენერგიულად ვიბრძოდით გეგმების შესრულებისათვის, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კი დავიწყებული გვქონდა. დიდი სტალინის ბრძნული მითითებების შემდეგ ეს შეცდომა გამოსწორდა. მაგრამ ახლა ჩვენი პირველადი პარტორგანიზაცია მეორე უკიდურესობაში გადავარდა: სრულიად არ ერევა საძეურნეო საქმიანობაში. მაგალითად, ჩვენს წარმოებაში დიდი გასაკეთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი საკითხია.

ზუგდიდის რაიონის პარტორგანიზაციებმა სერიოზული წარმატებები მოიპოვეს პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენების საქმეში. რაიონში შექმნილია სხვადასხვა ტიპის 47 პარტპოლიტწრე, რომლებშიაც ჩაბმულია 493 კაცი. წრეების უმრავლესობაში მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს. მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი წრეები, რომლებშიც ხშირია მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები. მაგალითად, ახალსოფლის პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტწრეში 8 თვის განმავლობაში არ ჩატარებულა მეცადინეობა. მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები იყო აგრეთვე რიყეში და შამგონაში.

საagიტაციო - პროპაგანდისტული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება ახლად არჩეული ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ერთერთი გადაუდებელი ამოცანაა.

ჩვენი რაიონული პარტიული კონფერენციის მოწვევა ემთხვევა უდიდეს ისტორიულ მომენტს, როდესაც საბჭოთა საქართველოს თავისუფალი და ბედნიერი ხალხი აღფრთოვანებით ემზადება თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის. ჩვენი რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ღირსების საშუალს წარმოადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოლშევიკურად მომზადება და ჩატარება.

ჩვენი რაიონის მშრომელები ენერგიულად ემზადებიან უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ამომრჩეველთა შორის გაშლილია ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, შექმნილია საქ. სსრ კონსტიტუციისა და უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი 1032 წრე, რომლებშიც ჩაბმულია 39.000 ამომრჩეველი.

ყველა ამ და სხვა საკითხზე უნდა იქნას გამახვილებული პარტიული კონფერენციისა და მთელი რაიონის პარტიული ორგანიზაციების ყურადღება. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ საagიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა, ბოლშევიკური აგიტაციით მოვიცვათ ამომრჩეველთა მთელი მასა, რათა მივაღწიოთ იმას, რომ 12 ივნისს უკლებლივ ყველა ამომრჩეველი გამოცხადდეს საარჩევნო ყუთებთან და ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

გრ. ჩაჩიბაია
საქ. კ. ბ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის ორგანიზაციის რაიონული კონფერენცია

(საკ. კორესპონდენტისაგან)

23-24 მაისს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის მე-17 რაიპარტკონფერენცია. 23 მაისის დილის სხდომაზე არჩეულ იქნა საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმი, აგრეთვე სამანდატო კომისია და სამდივნო. ამის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივნის ამხ. **ირ. ღუდუშაურის** საანგარიშო მოხსენება და სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი ამხ. ვ. სმირნიცკი).

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ვ. ლომიძემ, ვ. ხითაროვმა, ს. გუნთაიშვილმა, გ. ხონელიძემ, ვ. ჭყოიძემ, თ. ჩხეტიანმა, შ. გურეშიძემ, კ. სუხიაშვილმა, შ. ჩხენკელმა და სხვ. მკაცრად გააკრიტიკეს პარტორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და წამოაყენეს ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. კამათში მონაწილეობა მიიღო 37 დელეგატმა.

კონფერენციამ საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პრაქტიკული მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიტიკური ხაზი—სწორად. კონფერენციამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

არჩეულ იქნა რაიკომის პლენუმი 37 წევრისა და 11 კანდიდატის შემადგენლობით.

საქ. კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობის დელეგატად კონფერენციამ მქუხარე ოვაციით აირჩია ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი.** არჩეულ იქნენ აგრეთვე ამხანაგები: ა. კაპანაძე, ვ. ხატიაშვილი, კ. ციმაკურიძე და სხვ.

24 მაისს შესდგა ახლად არჩეული პლენუმის პირველი სხდომა. პლენუმმა აირჩია რაიკომის ბიურო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. **ირ. ღუდუშაური,** მეორე მდივნად—ამხ. **გრ. ტატიშვილი,** ხოლო მესამე მდივნად — ამხ. **დ. ჭახნაია.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელმა ამხ. **ს. ხოშტარიამ.**

გრ. ცუცქირიძე

საგაზაფხულო ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

მიწსახკომის 25 მაისის ცნობებით

რაიონები	სახნავ-სათესი მოხვნილი ჰექტ.	ხვნის გეგმის შესრულება პროც.	სახვნელი კულტურების თესვის ჰექტ.	თესვის გეგმის შესრულება პროც.	მათ შორის ადრეული კულტურების თესვის ჰექტ.	ადრეული კულტურების თესვის გეგმის შესრულება პროც.
ახალქალაქი	9746	71,7	27332	86,6	21601	96,8
ბოგდანოვკა	3300	89	9631	66,1	9249	80,4
ახალციხე	2130	98,6	6320	99,3	4212	97,7
ადიგენი	1117	168,5	2019	141,7	1759	155,7
ასპინძა	2601	136,3	4671	133,6	3923	143,6
ხაშური	8850	111	19388	91,3	14944	91,6
გორი	6087	93,9	12874	90,7	10528	99,7
კასპი	4425	95,8	8200	97,6	6090	102
ბორჯომი	3452	111,4	3406	84,4	2926	86,1
გურჯაანი	3138	101,5	8006	98,8	4517	98,6
სილნაღი	5380	112,3	19294	102,4	8866	104,1
თელავი	5401	102,5	8091	98	7826	100,9
ყვარელი	1598	123,9	3299	95,7	2115	98,1
ლაგოდეხი	1563	102,6	6524	93,5	2600	100
თბილისი	6795	100,7	10142	93,9	7878	100,2
ყარაია	2028	101,8	3448	98,7	788	105,8
ბორჩალო	1932	101,2	4481	93,2	698	132,4
ლუქსემბურგი	1281	115,9	4238	102,5	3040	104,8
წალკა	4998	57,5	12528	76	11128	85,8
დუშეთი	3759	98,4	4260	81,5	3929	86,8
ალბულაღი	4232	101,2	8221	98,9	5974	105
საგარეჯო	4915	93,4	11468	95,4	8228	96,6
ბაშკირეთი	3065	93,4	4389	89,9	3248	94,3
თიანეთი	2768	79,1	3678	75,2	3501	80,1
ყაზბეგი	28	46	19	38	—	—
სამხ.-ოსეთის ა. ო.	11211	95,8	17855	93,1	17019	96,4
ქუთაისი	10174	99,9	19978	99	17239	99,9
სამტრედია	7844	93,8	8943	88,5	8419	94,4
წულუკიძე	1948	97,1	6782	99	6197	101,4
ვანი	1668	102,5	6311	99,5	5176	101,5
ბაღდათი	3982	98,8	4268	86,3	4233	90,8
ზესტაფონი	7261	117,4	7086	93,5	7064	95,8
ჩხარი	8283	95,2	7594	98,2	7423	99,4
ჭიათურა	19281	131,8	19281	92,6	19025	93,2
ორჯონიკიძე	8316	91,2	8316	91,2	8263	94,2
ტყიბული	1870	98,1	5313	98,1	5145	99,5
ონი	3660	103,7	3660	78,1	3454	81,1
ამბროლაური	6016	101	6677	94,9	6548	95,5
ცაგერი	5388	135,6	5688	133,1	5655	134
ქვემო-სვანეთი	66	153,5	66	153,5	64	160
ახაშა	10831	92,4	10711	78,6	9571	81,8
ცხაკაია	6688	77,7	7959	76,1	7212	77,8
გეგეჭკორი	6927	103	9112	93,4	8945	96,4
ზუგდიდი	5548	94,9	7907	89,4	7068	92,1
ხობი	5979	103,8	5647	82,3	5574	84,7
წალენჯიხა	1341	100	2076	91,9	2049	98,5
ჩხოროწყუ	4000	97,9	3982	92,5	3900	100,5
მახარაძე	4881	95,5	4936	86,7	4845	94,1
ლანჩხუთი	6128	82,2	6052	73,9	5946	82,6
ჩოხატაური	1509	35,5	3315	74,1	3222	82,6
ფოთი	335	104,7	307	95,9	288	102,9
აფხაზეთის ასსრ	35611	97	33419	75,8	28391	84,2
აჭარის ასსრ	5131	101,4	4784	89,3	3824	99,8
სულ	280.596	95,8	433.838	89,6	360.317	94,2

ი. შამუგია

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის აღმავლობის ნიშნით

ცხაკაიას რაიონის პარტიული ორგანიზაცია თავის მერვე კონფერენციას თვალსაჩინო წარმატებებით ხვდება. იგი მტკიცედ შემჭიდროებულია პარტიის გენერალური ხაზის და დიდი ბელადის ბრძენი სტალინის გარშემო. თვალსაჩინოდ გაიზარდა რაიონის პარტიული ორგანიზაციის რიგები მოწინავე ადამიანების და პირველ რიგში კომკავშირის ხარჯზე. დღემდე რაიკომის მიერ მიღებულია პარტიის წევრობის კანდიდატად და გადაყვანილია კანდიდატობიდან წევრად 245 კაცი. მათ შორის მიღებულია პარტიის წევრობის კანდიდატად 181 (კომკავშირის რიგებიდან მიღებულია 150), გადაყვანილია პარტკანდიდატობიდან წევრად—64.

ზრდის საქმეში საერთო წარმატებებთან ერთად გვაქვს თვალსაჩინო ნაკლიც. ზემოჭალადიდის ხეტყის დამზადების უბნის მე-7 ყრილობის სახელობისა და ძველი სენაკის ამხ. კაგანოვიჩის სახელობის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს პარტიის რიგებში დღემდე არავინ მიუღიათ.

აგრეთვე იყო მიღების გაჭიანურების, მისაღებთა დოკუმენტების არასწორად გაფორმების და საკ. კ. პ. (ბ) წესდების დარღვევით პარტიაში მიღების ცალკე შემთხვევები. რაიკომსკომის პირველადმა პარტორგანიზაციამ სამ თვეზე მეტს გაჭიანურა პარტკანდიდატის ნ. ტყებუჩავას საკითხის განხილვა. ამის მსგავსი ნაკლოვანებანი ცოტა როდი გვაქვს. ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული მუშაობა პარტიის წევრობის კანდიდატებთან, ნაკლებია ზრუნვა მათ მოსამზადებლად პარტიის წევრად გადაყვანისათვის.

ცხაკაიას რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა ჩაატარა თავის რიგების გასაწმენდად ტროცკისტ-ბუხარინელთა ბანდიტური ხროვის ნაბოლარებისაგან. შენიღბული მტრები ხალხის მოკლათებული იყვნენ საბჭოთა, სამეურნეო და პარტიულ ორგანოებში და ეწეოდნენ მავნებლურ და ძირგამომთხრელ მუშაობას. პარტიული მასის აქტიური მონაწილეობით გამოჟღავნებულ და განადგურებულ იქნა ხალხის მტერთა ძირითადი ბუდეები. ხალხის მტრებისაგან პარტიის რიგების გაწმენდამ უაღრესად განამტკიცა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა და კიდევ უფრო შეამჭიდროვა ისინი ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო.

უცხო ელემენტებისაგან პარტიის რიგების გაწმენდასთან ერთად რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუშვეს ცალკეული შეცდომები, რაც გამოიხატა პარტიის რიგებიდან კომუნისტთა ხელაღებით და აჩქარებით გარიცხვაში ბრალდებათა გულდასმით შეუმოწმებლად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საფუძველზე რაიკომმა შესძლო უმოკლეს ვადაში თვითონვე გამოესწორებინა დაშვებული შეცდომები. განხილულ იქნა პარტიის რიგებიდან გარიცხულთა 46 საქმე. 26 კომუნისტი, პარტიის რიგებიდან არასწორად გარიცხული, აღდგენილ იქნა პარტიის რიგებში. აღდგენილი ამხანაგები, დაუბრუნდნენ რა პარტიულ ოჯახს, აქტიურად ჩაებნენ ყოველდღიურ პარტიულ ცხოვრებაში.

ამჟამად რაიონში პარტიული ორგანიზაციები გაცხოველებით მუშაობენ საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების საუკეთესოდ ჩატარებისათვის. დებულების შემსწავლელ 715 წრეში ჩაბმულია 22.976 ამომრჩეველი. საარჩევნო უბნები უზრუნველყოფილია ნდობით აღჭურვილი პირებით და კვალიფიციურ აგიტატორთა საკმაო რაოდენობით. აგრეთვე საარჩევნო უბნების მიხედვით მუშაობას ეწევიან რაიკომთან შექმნილი აგიტატორ - პროპაგანდისტთა აქტივის ჯგუფის წევრები. ამჟამად მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია აგიტაციაზე უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ.

პარტიული მუშაობის ერთერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს პარტიულ-პროპაგანდისტული და პოლიტიკური აგიტაციის ყოველმხრივ გაუმჯობესება. ამჟამად პარტგანათლების ქსელში სწავლობს 303 კომუნისტი და თანამგრძნობთა ჯგუფის 112 წევრი. საკლმეურნეო აქტივის 6-თვიანი კურსები გაიარა 25 მსმენელმა. პროპაგანდისტებისათვის დახმარების გასაწევად ჩამოყალიბებულია პროპსემინარი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პროპაგანდისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათთვის მეთოდური დახმარების გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს რაიონული აქტივის სემინარის სუსტი მუშაობა; უკანასკნელ ორ თვეში მას არსებითად არაფერი გაუკეთებია.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების საანგარიშო - საარჩევნო კამპანია ჩატარდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქციის სრული დაცვით და ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით. 44 პირველადს პარტორგანიზაციაში საანგარიშო კრებებს დაესწრო 412 კომუნისტი ანუ კომუნისტთა საერთო რაოდენობის 96 პროც. კამათში მონაწილეობა მიიღო 205 კომუნისტმა ანუ კრების მონაწილე კომუნისტების 49,6 პროცენტმა. პარტკომთა შემადგენლობაში არჩეული 37 კაცი დან ახლად არჩეულია 20. პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში პირველად აირჩიეს 18 კაცი. კომიტეტის 8 მდივნიდან ახლად არჩეულია 2 და ა. შ.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ გამოამჟღავნა პარტიული მუშაობის მთელი რიგი ნაკლოვანებები. რაიონში გვყავს 31 ერთეული კომუნისტი. თვითკრიტიკის წესით უნდა აღინიშნოს, რომ ერთეული კომუნისტები უზრუნველყოფილი არ არიან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ამხ. ბარბალე სოლომონის-ას. ბერიაშვილი

ამხ. ბ. ს. **ბერიაშვილი** დაიბადა 1890 წელს სოფ. დიღომში, თბილისის რაიონში.

ამხ. ბარბალეს მამა სოლომონი ოჯახით ამუშავებდა ჰექმამულის მიწას და დიდი გაჭირვებით არჩენდა 6 სულისაგან შემდგარ ოჯახს.

მხოლოდ 1921 წლიდან, — მას შემდეგ, რაც დაფასება და გასაჭანი მიეცა შრომას, დაიწყო ბარბალე ბერიაშვილის ხალისიანი ცხოვრება. 1929 წელს იგი შედის დიღომის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, აქ აქტიური მუშაობის გამო მას ირჩევენ კოლმეურნეობის გამგეობის წევრად. სოფ. დიღომის მშრომელებმა იგი აირჩიეს აგრეთვე სასოფლო საბჭოს წევრად.

საკოლმეურნეო შრომამ მას საშუალება მისცა ღირსეულად გამოეზარდა თავისი 7 შვილი. დღეს მათ შორის ერთი მუშურ-გლეხურ მილიციაშია, მეორე კი დიღომის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ბრიგადირია.

ამხ. ბარბალე სტახანოველ კოლმეურნედ ითვლება. 1937 წელს მან გამოიმუშავა 226 შრომადღე და, მიუხედავად მოხუცებულობისა ამჟამადაც ენტუზიაზმით და სტახანოვურად მუშაობს კოლმეურნეობაში. იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს კოლმეურნეთა შორის. ამიტომ თბილისის რაიონის მშრომელებმა ბ. ბერიაშვილი ერთსულოვნად წამოაყენეს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს № 33 საარჩევნო ოლქიდან საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. (საქდესი).



ამხ. ილია ყაისარის-ძე თავაძე

ამხ. თავაძემ, 1924 წელს მახარაძის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, დაიწყო მუშაობა პოლიტსაგანმანათლებლო სამუშაოზე აჭარის რაიონებში.

1928 წ. ის შევიდა მოსკოვის II სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაამთავრა იგი 1930-31 წ. და მიიღო დიალექტიური და ისტორიული მატერიალიზმის ლექტორის სახელწოდება.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ამხ. თავაძე დარჩა მოსკოვში სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობაში სამუშაოდ. ამავე დროს ის კითხულობდა ლექციებს დიალექტიურ მატერიალიზმსა და ლენინიზმზე მოსკოვის საფეიერო ინსტიტუტისა და პარისცხობის ინსტიტუტში.

ამხ. თავაძემ 1933 წლის ნოემბერში დაამთავრა ისტორიისა და ფილოსოფიის მოსკოვის ინსტიტუტის ასპირანტურა და გაიგზავნა საგარეჯოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პოლიტგანყოფილებაში, სადაც მუშაობდა პოლიტგანყოფილების გაზეთის რედაქტორად.

ამხ. თავაძე ერთი წლის შემდეგ დაინიშნა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის კულტსაპროპაგანდო განყოფილების გამგედ. 1936 წლის აპრილიდან 1937 წლის ნოემბრამდე ამხ. თავაძე მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცკ-ის აპარატში და შემდეგ არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჩალოს რაიკომის მდივნად. ამ სამუშაოზე ის დღესაც იმყოფება.

ამხ. თავაძე — საკ. კ. პ. (ბ) წევრია 1931 წლიდან. (საქდესი)

ამხ. იოსებ ივანეს-ძე სვანაძე

იოსებ ივანეს-ძე **სვანაძე** დაიბადა 1908 წელს ჭუთაისის რაიონის სოფელ ქვიტირში, გლეხის ოჯახში.

1926 წლიდან იგი მუშაობდა თბილისში მუშად რკინიგზის პლეხანოვის სახელობის კლუბში, ხოლო შემდეგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ — ვაგონსარემონტო ქარხანაში.

1930—1932 წლებში სვანაძე მტკვრითავად მუშაობდა მთავარ სამასალო საწყობში.

1932 წელს იგი დაწინაურებულ იქნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სამასალო და სათბობის საწყობთა გაერთიანებული ადგილკომის თავმჯდომარედ.

1933-დან 1935 წლამდე ამხ. სვანაძე იმყოფება საპასუხისმგებლო პარტიულ სამუშაოზე — გზის მე-6 დისტანციის პარტორგად.

1934 წელს ამხ. სვანაძე, როგორც კარგი მუშაკი, სასწავლად გაგზავნეს ამიერკავკასიის ტრანსპორტის ინჟენერთა ინსტიტუტში, სადაც იგი სწავლობდა 1937 წლის დეკემბრამდე.

1937 წელს ამხ. სვანაძე დაწინაურებულ იქნა ამიერკავკასიის რკინიგზების პოლიტგანყოფილების უფროსის თანამდებობაზე, სადაც იგი ამჟამადაც მუშაობს.

ამხ. სვანაძე საკ. კ. პ. (ბ) წევრია 1932 წლიდან.

წარმოებაში მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში იგი იყო მოწინავე დამკვრელი მუშა. პარტიაში შესვლის დღიდან ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობას.

მოლითის №112 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ იოსებ ივანეს-ძე სვანაძე რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამხ. ეკატერინე გრიგოლის-ასული მოსიაშვილი

მოსიაშვილი დაიბადა 1911 წელს ქ. ტუშეთში, იმავე წელს მისი მშობლები საცხოვრებლად გადადიან ქ. გროზნოში (ორჯონიკიძის მხარე). ეკატერინეს მამამ მუშაობა დაიწყო ჯერ ნავთობის საბადოებში, ხოლო შემდეგ 1914 წლამდე მუშაობდა ლუდის ქარხანაში. 1914 წელს გაიწვიეს მეფის ჯარში, იმპერიალისტურ ომში ის დაიღუპა და მისი ოჯახი დარჩა ტუპატრონოდ. დედა ყოველდღიური შრომით არჩენდა ობლებს.

გაჭირვებული ცხოვრების გამო ისინი 1917 წელს ბრუნდებიან ქ. ტუშეთში. ამხ. მოსიაშვილი იმავე წელს იწყებს სწავლას და 1928 წელს ამთავრებს ტუშეთის საშუალო სკოლას.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ამხ. მოსიაშვილი მუშაობს ჰოპორტის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. 1929 წელს შედის ლენინური კომკავშირის რიგებში.

1934 წელს ამხ. მოსიაშვილი ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს ქიმიურ დარგში. უნივერსიტეტში ყოფნის დროს ამხ. მოსიაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ მუშაობაში, ის კომკავშირის ხაზითაც აქტიურად მუშაობს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ განსაკუთრებით ამხ. მოსიაშვილს აგზავნის დუშეთის რაიონში — ფასანაურის საშუალო სკოლის მასწავლებლად, სადაც მუშაობდა 1937 წლის სექტემბრამდე, ხოლო ამავე წლის სექტემბრიდან დუშეთის რაიგანათლების განყოფილების მიერ გადაყვანილ იქნა დუშეთის მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორად.

ამხ. მოსიაშვილი კარგი მუშაობასთან ორჯელ არის დაჯილდოებული რაიგანათლების განყოფილებისა და დაწყ. და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის რაიკომის მიერ.

ამხ. მოსიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულია ბაზალეთის № 83 საარჩევნო ოლქში ბაზალეთის ამხანაგ ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალთა საერთო კრების მიერ.

ამხ. ივანე კეშრეს-ძე ხეთაგური

რვა წლის ბავშვი იყო ამხ. **ხეთაგური,** როცა 1916 წელს ხაშურის ერთერთ სკოლაში შევიდა, სადაც 1923 წლამდე სწავლობდა.

ოჯახს რომ დახმარებოდა, ივანე პეტრეს-ძე ხეთაგური სკოლაში მეცადინეობასთან ერთად 1921 წლიდან ხაშურის დეპოში მუშაობს ზეინკლის შეგირდად, შემდეგ კი მუშად სოფელ ჩაგის სპირტის ქარხანაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ ამხ. ხეთაგური შედის კომკავშირში. როგორც აქტიურ მუშაკს, მას ირჩევენ ქარხნის კომკავშირული უჯრედის მდივნად და შემდეგ აგზავნიან სწავლის განსაგრძობად თბილისში, კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო შეგირდების ცენტრალურ სკოლაში.

1927 წელს სკოლის დამთავრებისთანავე ამხ. ხეთაგური ინიშნება ელექტრომექანიკური საამქროს ხელმძღვანელად, ახალი კადრების მოსამზადებლად. ერთი თვის შემდეგ ამხ. ხეთაგური უკვე პარტიის წევრია; მას ირჩევენ საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლის ალკკ კოლექტივის ბიუროს პასუხისმგებელ მდივნად. 1929 წელს ხეთაგური ისევ ინიშნება ელექტრომექანიკური საამქროს გამგედ. 1930 წელს ივანე პეტრეს-ძე განაგებს საზეინკლო სახელოსნოს ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან. აქ მას ირჩევენ ჯერ ადგილკომის თავმჯდომარედ, შემდეგ კი მედსანშრომის მუშაკთა საქართველოს სრულიად-საქართველოს ყრილობაზე კავშირის ცენტრალური გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად, სადაც იგი მუშაობდა 1932 წლამდე.

კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლის პარტიულმა ორგანიზაციამ შეამდგომლობა აღძრა ივანე პეტრეს-ძის გადაყვანის შესახებ. ძველ სამუშაოზე სკოლაში. 1932 წელს ამხ. ხეთაგური ინიშნება მექანიკური საამქროს გამგედ. 1933 წლის დასასრულს ამხ. ხეთაგური გადადის სამუშაოდ საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტში, სადაც მუშაობდა სამხედრო განყოფილების გამგედ.

1935 წლიდან ივანე პეტრეს-ძე მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორად. მას ირჩევენ 26 კომისრის სახელობის რაიონის ალკკ რაიკომის პლენუმის და ბიუროს წევრად და ალკკ თბილისის კომიტეტის ბიუროს და პლენუმის წევრად, მედსანშრომის კავშირის ცენტრალური გამგეობის წევრად, მანქანათმშენებლობის მუშაკთა კავშირის, თბილისის საბჭოს წევრად. ამჟამად ამხ. ხეთაგური არის საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

დროზე მივაწოდოთ მკითხველებს ჟურნალ-გაზეთები

მ. ურუშაძე

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბეჭდვითი სიტყვის განყ. ინსტრუქტორი.

მკითხველისათვის ჟურნალ - გაზეთების დროულად მიწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ამას აგიტატორებისა, პროპაგანდისტებისა, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკებისათვის. აგიტაციისა და პროპაგანდის წარმატებით დაყენების საქმე დიდად არის დამოკიდებული ჟურნალ-გაზეთების დროულად მიწოდებაზე. კავშირგაბმულობისა და „სოიუზპეჩატის“ საქართველოს განყოფილების მუშაკები არ აქცევენ ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას, რის გამო ზოგჯერ როგორც ჟურნალ-გაზეთების დაგვიანებით მიწოდების, ისე ცალკეული ნომრების დაკარგვის შემთხვევები.

შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი ფაქტები, რომლებიც ცხადჰყოფენ გაზეთების დამტარებლებისა და ფოსტის სხვა მუშაკების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას თავისი საქმისადმი. მაგალითად, მოქალაქე სუფრონოვმა (მცხოვრები ლენინის ქ. № 20) გამოიწერა გაზ. „ზარია ვოსტოკა“ 2 თვით. მას მარტსა და აპრილში უნდა მიეღო გაზეთი, მაგრამ აპრილში აღარ მიუღია. მოქალაქე საველიევმა (მცხ. სემიონოვის ქ. № 3) გამოიწერა გაზ. „ზარია ვოსტოკა“ აპრილისათვის, მაგრამ მას ნ აპრილის შემდეგ გაზეთი არ მიუღია. მოქ. გოგიჩაშვილს (მცხ. ბარნოვოსა და ბაზალეთის ჭიჭების კუთხეში) 17 აპრილს შეუწყვიტეს გაზეთის მიწოდება. მოქ. ჭავჭავაძემ (მცხ. ნიკოლაძის ქ. № 22) 8 აპრილიდან 28 აპრილამდე ვერ მიიღო გამოწერილი გაზეთები. ზემოხსენებული პირებისათვის გაზეთების მიწოდებაზე პასუხისმგებელია თბილისის ფოსტის მე-9 განყოფილება. ფოსტის ამ განყოფილების ყოფილი დამტარებელი ვ. კარაჩაროვი დაურიგებელ წერილებს სწვავდა, ხოლო მეორე დამტარებელი გუკასოვი ხელისმომწერებისაგან ფულს იღებდა და ქვითარს კი არ აძლევდა, რის გამო ორივენი მოხსნილ იქნენ. მოქალაქე მირზოევმა (მცხ. წულუკიძის ქ. № 1) ვერ მიიღო გაზ. „ზარია ვოსტოკა“ პირველიდან 10 აპრილამდე, ხოლო მოქ. მელიქიანს 16-ისა და 17 აპრილის ნომრები დაუკარგეს. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ გამოწერილი ჟურნალები „ხიმია ი ობორონა“ 16 მაისს სახკომსაბჭოს მაგივრად საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს გაეგზავნა. ამაში ბრალი მიუძღვის თბილისის ფოსტის მე-4 განყოფილების თანამშრომლებს.

მოქ. ხარიშაროვმა (მცხ. კლ. ცეტკინის ქ. № 146) ვერ მიიღო გაზ. „ზარია ვოსტოკას“ ნომრები 4 აპრილიდან 30 აპრილამდე. რაშიაც ბრალი მიუძღვის ფოსტის მე-2 განყოფილების დამტარებელ ელიაშვილს, ხოლო ფოსტის იმავე განყოფილების დამტარებლის გულდედავას მიზეზით თბილისის მე-8 სკოლამ მარტში გაზეთი „ნორჩი ლენინელი“ ნაცვლად 200 ცალისა მიიღო 180 ცალი. შეიძლებოდა კიდევ მრავალი ფაქტი მოგვეყვანა, მაგრამ ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა უპასუხისმგებლობას იჩენენ კავშირგაბმულობის მუშაკები მკითხველთათვის გაზეთის მიწოდების საქმეში.

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია ხელისმომწერთათვის ჟურნალების მიწოდების საქმე. ის გარემოება, რომ ჟურნალები ფოსტის განყოფილებებს შეკრული, მისამართდაწერილი მისდით, რომ ფოსტაში არ ინახება ჟურნალის გამომწერთა სააღრიცხვო ბარათები, იწვევს ერთგვარ გაუპასუხისმგებლობას, რის შედეგიც არის ჟურნალების მრავალი ნომრების დაკარგვა. ჟურნალების დაკარგვას ხელს უწყობს აგრეთვე არასწორი მისამართები.

ფოსტის განყოფილებათა გამგეები გაურბიან ხელისმომწერთა უამრავ საჩივრებს. ბევრგან გამოყენებული არ არის საჩივართა წიგნები. მაგ., ფოსტის მე-4 განყოფილებას აპრილში აღრიცხული აქვს მხოლოდ 7 საჩივარი, ხოლო ფოსტის მე-2 განყოფილებას ამავე თვეში მხოლოდ 3 საჩივარი, მაშინ როდესაც სამზე მეტი საჩივარი გამომრკვევი ბრიგადის 10 წუთით ყოფნის დროს შემოვიდა ფოსტის მე-2 განყოფილებაში.

გარდა ამისა, აღგილი აქვს ხელისმომწერებისათვის გაზეთების დაგვიანებით მიწოდებას. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როცა მკითხველს დროზე არ მისდის გამოწერილი გაზეთი. გაზეთების დაგვიანებით მიწოდების მიზეზი მისი დაგვიანებით გამოსვლაც არის. რედაქციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ გაზეთის დაგვიანებით გამოსვლის ხალიკვიდაციოდ.

ცუდადაა ჟურნალ-გაზეთების მიწოდების საქმე სოფლად, კოლმეურნეობებშიაც. მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნე ხელისმომწერებს დიდი დაგვიანებით მისდით გაზეთები, ან მეტი წილი ნომრები იკარგება. ზოგიერთ კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ გამოუყვია გაზეთის დამტარებელი. ზოგან კი 4-5 კოლმეურნეობას ჰყავს ერთი დამტარებელი, რის გამო გვაიანდება გაზეთების დარიგება. კასპის რაიონის სოფ. იდლეთისა და გომიჯვარის კოლმეურნეობებს დღემდე არა ჰყავთ გამოყოფილი დამტარებლები, ხოლო სოფ. ხანდაყში დამტარებლად გამოჰყვეს კავთისხევის საშუალო სკოლის მოწაფე, რომელსაც გაზეთების ნახვებარიც არ მიაქვს ხელისმომწერლებთან. ამავე რაიონის თელათგორისა და წინარეთის დამტარებლები 2-3 დღეში ერთხელ აწვდიან გაზეთებს მკითხველებს. ასეთივე მდგომარეობაა გორის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში. გომის ფოსტა (ხაშურის რაიონი) ა. წ. იანვარში სოფ. ალის მიერ გამოწერილ გაზეთებს სოფ. წაღვლში ჰგზავნიდა. ხაშურის რაიასგაზეთი ბიუროს ყოფ. გამგე მოქ. მაღრაძე ხელისმომწერებისაგან გაზეთების 5 თვის ფასს იღებდა, ხოლო საქმეში სამთვიან ხელისმომწერლებად ატარებდა.

ხაშურის ფოსტის და სავაზეთო ბიუროს სუსტ მუშაობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ისინი დღის 1 საათზე ჩასულ გაზეთებს იმავე დღეს არ ურიგებენ ქალაქის ხელისმომწერლებსაც კი (გარდა რაიკომისა). თუ გორის ფოსტა უზრუნველჰყოფს ერთი საათით ადრე ჩასული გაზეთების იმავე დღეს დარიგებას ქალაქის ხელისმომწერლებისათვის, ნუთუ ეს არ შეუძლიან ხაშურის ფოსტას? თუ გორის ფოსტამ გადაიყვანა დამტარებლები განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე და ერთი დამტარებელი რეზერვში ჰყავს, რაც საშუალებას აძლევს გაზეთები ყოველდღიურად დაარიგოს, ნუთუ ეს არ შეუძლიან ხაშურისა და ზოგიერთი სხვა რაიონის ფოსტას? გაზეთების მიწოდების მხრით ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე ონის, ამბროლაურის, თელავის და სხვ. რაიონებში.

სუსტად მუშაობს ჟურნალ-გაზეთების გავრცელებისა და ექსპედირების რესპუბლიკური განყოფილება. ამა თუ იმ რაიონს ხშირად არ ეგზავნება ესა თუ იმ გაზეთი. მაგ., ხაშურის ფოსტამ ა. წ. 8 მარტის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ სათანადო მიმართვის გამოგზავნის შემდეგ მიიღო მხოლოდ 8 მარტს, ხოლო 18 მარტის „ახალგაზრდა კომუნისტი“ ხაშურში მხოლოდ 27 მარტს იქნა მიღებული. მიმდინარე წლის მარტში გაზეთების ექსპედირების განყოფილებაში რაიონებიდან შეტანილია 18 განცხადება გაზეთების მიუღებლობის შესახებ. ამა რით, თუ არა ექსპედიციის მიერ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით, უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გორის რაიკომის მისამართით გასაგზავნი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვა ყველა ამომრჩევლებისადმი (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ 4/V) გორის ნაცვლად გაგზავნეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ში. ზოგჯერ ექსპედიცია რაიონებში მგზავნის დახეულ გაზეთებს. ესეც უყურადღებობის მაჩვენებელია.

საჭიროა მოვახდინოთ გარდატეხა კავშირგაბმულობის, „სოიუზპეჩატის“ და ექსპედიციის მუშაობაში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მკითხველმა გაზეთი და ჟურნალი დროზე და უკლებლივ მიიღოს.

ეს მით უმეტეს საჭიროა ახლა, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით.

ეხმაურებიან მახარაძის რაიონის მეჩაიე კოლმეურნეთა მიმართვას

(ჭუთაისი, საკ. კოპ ესპონდენტისაგან)

ჭუთაისის რაიონის კოლმეურნეობები აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათის, ნატანების, ნავომარის, შემოქმედისა და ფამფალეთის კოლმეურნეობების კოლმეურნეთა მიმართვას სოციშეჯიბრების მოწყობაზე ჩაის ფოთლის კრეფის საუკეთესოდ ჩატარებისათვის.

23 მაისს აღნიშნულ მიმართვას გაეცნენ სოფ. თერნალის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. ამ კოლმეურნეობას სულ 63 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვს, აქედან 20 ჰექტარი ამ გაზაფხულზე გააშენეს.

კოლმეურნეობაში ჩაის საუკეთესოდ უვლიან. ამიტომაა, რომ აქ შედარებით ახალი პლანტაციებიც კი უკვე სრულ მოსავალს იძლევიან. შარშან ამ კოლმეურნეობამ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა სახელმწიფოს ჩააბარა 7.111 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ჩაის სტახანოველი მკრეფველი ქეთო გელენიძე, გოგუცა ბზიკაძე, ელენე გელენიძე, ნურა ქუთათელაძე და სხვები ყოველდღიურად ჰკრეფენ 20—23 კილოგრამ ჩაის, ორჯერ მეტს, ვიდრე შარშან.

თერნალის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ მახარაძის რაიონის კოლმეურნეთა მოწოდების საპასუხოდ იკისრა ვალდებულება ივნისით გათვალისწინებული 19.260 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის ნაცვლად წელს სახელმწიფოს ჩააბაროს 25.000 კილოგრამი. ამ კოლმეურნეობაში ჩაის საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმები გადაჭარბებით აქვთ შესრულებული. ბრიგადების შიგნით შექმნილია მუდმივი ჯგუფები და სწარმოებს პლანტაციების განუწყვეტელი კრეფა.

ამ კოლმეურნეობის მოწინავე სტახანოველებმა იკისრეს, რომ მათ მიერ მოკრეფილი ჩაი მთლიანად პირველი ხარისხისა იქნება.

თერნალის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ შეჯიბრებაში გამოიწვია რაიონის სხვა დანარჩენი კოლმეურნეობები.

დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრა ამომრჩევლებთან

ქ. ჭუთაისის — ბერიას საარჩევნო ოლქის, ცხაკაიას საარჩევნო უბნის 700-ზე მეტი ამომრჩეველი შეკრიბა მე-4 სრული საშუალო სკოლის დარბაზში, რათა ესაუბრნათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამხ. ნ. ი. კიკაჩეიშვილთან.

ამომრჩევლები გულმხურვალედ მიესალმნენ თავის კანდიდატს.

ტრიბუნაზეა ამხ. წურწუმია. იგი ლაპარაკობს დიად გამარჯვებებზე, რომლებიც სსრ კავშირის მშრომელებმა მოიპოვეს ხალხთა გენიალური ბელადის, ბრძენი სტალინის ხელმძღვანელობით, ლაპარაკობს ჩვენი დიადი სამშობლოს გაფურჩქნაზე, სსრ კავშირის მოქალაქეთა დიად უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

— ჩვენ, — აცხადებს ამხ. წურწუმია, — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დავასახელეთ ამხ. ნ. ი. კიკაჩეიშვილი, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული მებრძოლი, დაუღალავი მუშაკი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი.

სიტყვას იღებს ამხ. ნ. ი. კიკაჩეიშვილი.

— პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ, — ამბობს ამხ. კიკაჩეიშვილი, — საშუალება მომცეს მე მიმეღო განათლება. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ საბჭოების ქვეყანაში, ვცხოვრობ კაცობრიობის დიდი გენიოსის, ამხანაგი სტალინის ეპოქაში. პირობას ვიძლევი გავამართლო ჩემდამი გამოცხადებული მაღალი ნდობა, პირობას ვიძლევი ვიმუშაო ისე, როგორც გვასწავლის ჩვენი ბელადი, მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. ნ. ჯინჭარაძე შეხვდა ვორონცოვის № 129 საარჩევნო ოლქის მოლითოვის საარჩევნო უბნის ამომრჩევლებს.

შეხვედრას დაესწრო 600-ზე მეტი ამომრჩეველი. სიტყვა წარმოსთქვეს ამომრჩევლებმა: ამხ. პ. ბახტურიძემ, ი. ბალანჩივაძემ, ა. კუტიდემ, ბ. ქვიცარიძემ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამომრჩევლები ამხ. ნ. ჯინჭარაძეს იცნობენ, როგორც დაუღალავ მებრძოლს ლენინ-სტალინის პარტიის საქმისთვის, მშრომელთა საქმისათვის.

— 12 ივნისს, — სთქვა ამხ. ქვიცარიძემ, — ყველა ამომრჩეველი მივა საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემს კომუნისტთა და უპარტიოთა უძლეველი სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ᲐᲧᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲣᲠᲘᲐ

1.

აი, გაჰხედეთ კოხტა გორების ქალთებს, მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ბაღებს, მობიბინე წალკოტში შედგმულ ოდებს, საკარმიდამო ნაკვეთებს, გულმოდგინედ გაშენებულს, — და თქვენ იხილავთ ახალ, აყვავებულ გურიას ჭაობიდან, ეკლნარიდან, გვიმრალიდან, სატლაკიდან ამოსულს.

იქ, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ, გურულის თქმისა არ იყოს, „ტინტილაი კუდს მოიწვავდა“, და ტურების კივილი აყრუებდა გარეშოს, სადაც მარტოოდენ თხემლნარი იყო, ჟვავი, ჟალტამი და ჭაობი, კოლო და ციებცხელება, — ახლა გმირული შრომის ნაყოფს შეჰხარის ჩვენი საბჭოთა ადამიანი. ეს ლამაზი ხეივნები და ჩაის პლანტაცია ნატანების ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის.

ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ამხ. ვასო ჯაბუა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, — მკვირცხლი, თვალგამჭრიახი ჭაბუკი. რითი დაიმსახურა ამ ახალგაზრდა კაცმა ესოდენი ნდობა? ვასო ჯაბუა საბჭოთა წყობილების ჟამს დავატკაცდა, საბჭოთა სკოლაში და კომკავშირში აღიზარდა, ლენინ-სტალინის იდეების შვილთა გასხივოსნებული მისი მსოფლმხედველობა, მისი მისწრაფება.

მამა-მისი, ბესარიონ ჯაბუა აქაური ღარიბი გლეხი იყო. იმპერიალისტურ ომში რომ გაიწვიეს, შინ ოთხი ბავშვი დარჩა ახალგაზრდა დედის ამარა. ომის წლებში კიდევ უფრო დაღარიბდა ბესარიონის ოჯახი. ომში სიკვდილის პირად მყოფი ქმრის ხვედრის გამო მწარედ დაღონებული დედის სევდიანი სახე მოეჩვენება ვასოს, როდესაც თავის ბავშვობას მოიგონებს. მაგრამ მალე ჩვენშიაც ამობრწყინდა ოქტომბრის მზე და ვასოსაც გზა გაეხსნა.

ვასო ჯაბუა გულმოდგინედ სწავლობს. ათწლედი დაამთავრა, კომკავშრომშიაც აქტიურად მუშაობდა. შემდეგ მთელ რიგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საპასუხისმგებლო საქმეს აკეთებდა და ახლა ამ მილიონერ კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს, დღენიადაგ მისი ახალი წარმატებებისათვის ზრუნავს.

სიამაყით ლაპარაკობს ვასო კოლმეურნეობის მიღწევებზე. უსმენთ მას და გრძნობთ, რომ კოლმეურნეობის განსაცვიფრებელ წინსვლის ფონზე იზრდება და მაღლდება ეს ტანმორჩილი, მკვირცხლი თვალგამჭრიახი ჭაბუკი.

ამ კოლმეურნეობის შემოსავალი 1930 წელს 99.700 მანეთს უდრიდა; 1936 წელს — 1.132.000 მანეთს; 1937 წელს — 1.400.000 მანეთს; ხოლო წელს ორი მილიონი და ასი ათასი მანეთია გათვალისწინებული.

დამახასიათებელია, რომ ამ ორ მილიონ ასი ათასი მანეთიდან ვილორიც ექვსასი ათასი მანეთი შემოაქვს ახალ კულტურებს — ჩაის, მანდარინს, ლიმონს, ფორთოხალს.

წელს კოლმეურნეობამ უნდა ჩააბაროს 684.000 კილოგრამი ჩაი და 12 მილიონი ცალი ნარინჯი, აქედან ლიმონი ათჯერ მეტი, ვიდრე გასულ წელს.

ასე მიემართება წინ ჭაობიდან, ეკლნარიდან, სატლაკიდან ამოსული ახალი, აყვავებული გურია.

კოლმეურნეობის მანქანა თვითონ თავმჯდომარეს — ვასო ჯაბუას მიჰყავს.

ფართო გზის პირად ჩამწკრივებულია მშვენიერი კარმიდამოები და ნათელი ოდები, ზოგან ჯერ კიდევ დაუმთავრებელი.

აქ მარტოოდენ გასულ წელს 38 კოლმეურნემ აიშენა ოდა. ხოლო ზოგ არ გასტეხა ის კაცი, რომელმაც მოკლე დროში ასეთი კარმიდამო გააშენა და საკოლმეურნეო შრომითაც სახელი გაითქვა. მაგრამ ამხ. მიხაკოს, ამ შუახნის კოლმეურნეს, ღაჟღაჟა სახე აქვს და დინჯი, გონიერული გამომეტყველება. ამიტომაა მისი შრომა წინასწარ გაზრებული, გეგმიანი და ნაყოფიერი. წელს მიხაკოს გათვალისწინებული აქვს კოლმეურნეობაში სხვა ვალდებულების შესრულებასთან ერთად 350 შრომადღე გამოიმუშაოს.

ამხ. ვასომ მანქანა ჩაის პლანტაციასთან შეაჩერა. აქ მკრეფავებს ჩაის ბუჩქები თითქმის წელამდე სწვდებათ. ოდნავ მოალისფრო ბიბინი ბრწყინავს ირგვლივ... მკრეფავი ქალები ვასოს ესაუბრებიან გულუბრყვილო ღიმილით და ხშირად გაისმის გურული მოსწრებული თქმა...

ნატანების ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ წელს მარტოოდენ საკოლმეურნეო ფარეთობში, სხვა ტექნიკურ კულტურებს გარდა, გააშენა ორმოცდათუთმეტი ათას ხუთასი ძირი მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი. ეს ნერგები ყველა გახარებულია. გაბა ულამაზეს ოცნებას არ აღემატება, როდესაც წარმოიდგენ ამ უამრავ ნერგებს, უკვე მოსწრებულსა და ძვირფასი ნაყოფით დატვირთულს.

2.

საქართველოში მეაბრეშუმეობას უძველესი ისტორია აქვს, მაგრამ პარკი მხოლოდ ჩარჩ-ვაჭრებს ამდიდრებდა. ახლა ჩვენში 5 ძაფსაღები ფაბრიკაა და 2 საქსოვი. ამათგან ერთი მახარაძეშია. იგი წლიურად 13 მილიონი მანეთის პროდუქციას იძლევა.

ამ ფაბრიკაში მისი დაარსების დღიდან მუშაობს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი — სონა ლევანის-ასული ჯიქია.

ოცი წლის წინათ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ერთი ახლად ფეხადგმული ბავშვი ჰყავდა და მეორეზე ფეხმძიმედ იყო, ქმარი სახლიდან გარდაეცვალა. იმ უღარიბეს ოჯახში ქვრივისა და ობლების ცხოვრება შეუძლებელი იყო და მამამ, ლევანმა, შინ წაიყვანა. სანამ ლევანი ცოცხალი იყო, სონა გაჭირვებით ზრდიდა შვილებს, მაგრამ მამა რომ გარდაეცვალა, კვლავ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა. იმ ხანებში მახარაძეში ეს ფაბრიკა ამუშავდა და სონაც აქეთ გამ

ჩეხოსლოვაკია ფაშისტური გერმანიის თავდასხმის საფრთხის წინაშე

მშრომელი მასების დარაზმვა ფაშისტური აგრესიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად

პრაღა, 26 მაისი (საკდესი). ფაშისტური აგრესიის განუწყვეტელი მუქარის გავლენით, აგრესიისა, რომელიც თავს დასწოლია ჩეხოსლოვაკიას, მუშათა კლასის მასებში მატულობს მისწრაფება ერთიანი ფრონტისადმი. სხვადასხვა ადგილებიდან მოდის ცნობები, რომ კომპარტია და სოციალ-დემოკრატები მუნიციპალური არჩევნების მომავალ მეორე ტურში 29 მაისს ერთად გამოვლენ. არის ცნობები მუშებისა და მშრომელთა მასობრივი კრებების შესახებ, რომლებსაც ორივე პარტია იწვევს. ასე, მაგალითად, ქალაქ ვეიპრტიში (სუდეტის გერმანელთა ოლქი) კომპარტიის, სოციალ-დემოკრატების და ჩეხთა პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციები ერთიანი სიით გამოდიან 29 მაისს. 23 მაისს შებეში შესდგა ადგილობრივი წითელი და სოციალ-დემოკრატიული პროფკავშირების საერთო კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ, აგრეთვე ორგანიზაციულ ღონისძიებათა მომზადების შესახებ ორივე პროფკავშირის გასაერთიანებლად. კონფერენციამ გამოსთქვა სოლიდარობა საფრანგეთის შრომის კონფედერაციის გენერალური მდივნის ჟუოს გამოსვლასთან პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების სესიაზე ოსლოში. კონფერენცია თავის მიმართვაში მოუწოდებს ჩეხოსლოვაკიის მუშებს იბრძოლონ პროფკავშირთა რეაქციული ლიდერების წინააღმდეგ, რომელნიც საბოტაჟს უცხადებენ ერთიან პროლეტარულ ფრონტს. კონფერენციამ დეპეშით მიმართა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას, სადაც დაჟინებით მოითხოვს, რათა ჩეხოსლოვაკიის კომპარტია, რომელიც ათითასობით გერმანელ მშრომელთა ნდობით სარგებლობს, მიწვეულ იქმას მოლაპარაკებაში ნაციონალურ უმცირესობათა კოდექსის საკითხზე. ქალაქ ვრბნოში (მორავიის სილეზია) წინასაარჩევნო კრებამ, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციები, ანალოგიური მოთხოვნებით მიმართა პრეზიდენტ ბენეშს.

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 26 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ლეიბორისტმა არტურ ჰენდერსონმა თემთა პალატაში შეიტანა წინადადება, რათა ინგლისის მთავრობამ წარდგინებით მიმართოს პოლონეთისა და უნგრეთის მთავრობებს იმის შესახებ, რომ სასურველია მათ დასდონ შეთანხმება ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან ჩეხოსლოვაკიაში უნგრელ და პოლონელ ნაციონალურ უმცირესობათა პრობლემების მოგვარების შესახებ. ამის საპასუხოდ პრემიერმა ჩემბერლენმა განაცხადა: ინგლისის წარმომადგენლებმა ვარშავასა და ბუდაპეშტში უკვე აცნობეს სათანადო მთავრობებს, რომ ინგლისის მთავრობა დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ პრობლემის დაუყოვნებლივ მოგვარებას მშვიდობიანი გზით. ინგლისს წარმომადგენლებმა ორივე მთავრობისაგან დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს.

ჩერჩილის გამოსვლა

ლონდონი, 26 მაისი (საკდესი). ამ დღეებში ჩინგფორდში (ესექსის საგრაფო) სიტყვით გამოვიდა ჩერჩილი. შეეხო რა იმ საფრთხის საკითხს, რომელიც ჩეხოსლოვაკიას ემუქრება, ჩერჩილმა განაცხადა, რომ თუ კი ახლა ომი თავიდან იქნა აცილებული, რისი იმედიც მას აქვს, „ამას ჩვენ უნდა ეუმადლოდეთ კოლექტიური უშიშროების არსებულ ჩანასახ ფორმებს“. მთელი რიგი სახელმწიფოების, კერძოდ — საფრანგეთის, ინგლისის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიციას ამ საკითხში და ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის მტკიცე გადაწყვეტილებას იბრძოლოს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის შეუძლია თავიდან აგვაცილოს ჩეხოსლოვაკიის ნაძალადევად დაპყრობა. კომპეტენტურ პირთა აზრით, განაცხადა ჩერჩილმა, გერმანია ამჟამად არ არის მზად დიდი ომისათვის. გერმანია განიცდის სურსათისა და ნედლეულის ნაკლებობას. გერმანიის არმია მთლიანად როდია უზრუნველყოფილი ოფიცერთა შემადგენლობით.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან და ბარსელონიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

ალმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 25 მაისის ცნობით, ტრემპის რაიონში (ლერიდის ჩრდილოეთით) რესპუბლიკურმა ჯარებმა დაიკავეს კონკესის მაღლობი და ხელთ იგდეს ტყვეები. ამავე რაიონში რესპუბლიკელთა მხარეზე ვადავიდა მეამბოხეთა რაზმი კაპარალის მეთაურობით. 24 მაისს ამ რაიონში წარმოებული ოპერაციების დროს რესპუბლიკურმა ჯარებმა ხელთ იგდეს 720 ტყვე, მათ შორის ბევრია ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი.

ლევანტის სექტორში მეამბოხეებმა დიდძალი არტილერიისა და ავიაციის დახმარებით კორბალანის რაიონში დაიკავეს დაბები—უმბრია და კაბესა ალტო. მოსკერუელის რაიონში რესპუბლიკელთა ნაწილებმა კვლავ დაიკავეს ალტა დე გორასის ბორცვი. მეამბოხეთა შეტევები სხვა სექტორებში მოგერიებულ იქნა რესპუბლიკელების მიერ.

ჰავასის სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკელთა ჯარებმა ენერგიული კონტრშეტევით მეამბოხეები განდევნეს მათ მიერ სიერა დე გუდარსა და მორატილიას შუა მდებარე რაიონში დაკავებული პოზიციებიდან.

ესპანის სააგენტოს ცნობით, 24 მაისს ღამით და 25 მაისს დილით მეამბოხეები განსაკრძობდნენ ძლიერ შეტევას რესპუბლიკელთა პოზიციებზე ტერუელის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, ლოპერასა და ელ ლობოს მახლობლად. რესპუბლიკელებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს მათ, ასე რომ მეამბოხეებმა ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს წინ და დიდი დანაკლისი განიცადეს.

ერთი ფეჯი ლექციის გამო

ერთ დროს ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში უკმაყოფილება გამოიწვია პროფ. მ. ზანდუკელის დაუსაბუთებელმა წიგნმა „ალ. ყაზბეგის ორიგინალობა და დიმიტრი ყაზბეგი“.

ქართულმა მწერლობამ და საზოგადოებრიობამ არა თუ მხარი არ დაუჭირა ამ ფუჭს საქმეს, არამედ გულის წყრომით გაიღაშქრა მის წინააღმდეგ. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ეს საკითხი თითქმის ყველას დავიწყდა, მაგრამ ზანდუკელი თავს ნებას აძლევს იგი სტუდენტობაშიაც გადაიტანოს. როგორც სჩანს ზანდუკელი ამ საკითხში თავს არ სთვლის დამარცხებულად და იმის მაგიერ, რომ თავისთვის არკვიოს ეს საკითხი, რისი უფლება, რაკაკვირველია, მას აქვს, ის თავზე ახვევს ამ ფუჭ საქმეს სტუდენტობასაც.

სამწუხარო აქ ისაა, პროფ. ზანდუკელი დ. ყაზბეგის ავტორობას საკითხს დამტკიცებულ აქსიომად რომ ასაღებს და ლექციების სახით კი კითხულობს მას უნივერსიტეტში, მაშინ, როდესაც ამის უფლება არა აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ არც სასწავლო პროგრამაში, არც სახელმძღვანელოებში დასმული არ არის და არც შეიძლება იყოს არსად ეს საკითხი ასე საჩხირკედლაოდ.

ამას წინათ ზანდუკელმა წაიკითხა თავისი საგნის — ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის რამდენიმე ლექცია. მართალია, მან აქაც ვერ დაამტკიცა დიმიტრი ყაზბეგის ავტორობა, და ვერც დაამტკიცებდა, რადგან გაიმეორა საკმაოდ ნაცნობი და მოძველებული ამბები, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო ზანდუკელის ამ ლექციამ სტუდენტთა შორის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

საინტერესოა, იცის თუ არა ზანდუკელის ამ ლექციების შესახებ ფაკულტეტის დეკანმა? თუ არ იცის, მით უარესი მისთვის.

დამსწრე

ინგლისის მთავრობა ცდილობს ჩეხოსლოვაკიის ჯარების გაყვანას გერმანიის მოსაზღვრე რაიონებიდან

ლონდონი, 26 მაისი (საკდესი). გაზეთ „ივნინგ ნიუსის“ დიპლომატიური მიმომხილველის სიტყვით, ინგლისის მთავრობა ჩეხოსლოვაკიის ელჩთან ლონდონში მასარიკთან იხილავს საკითხს გერმანიის მოსაზღვრე რაიონებიდან ჩეხოსლოვაკიის ყველა ჯარის გაყვანის შესახებ.

პარიზი, 26 მაისი (საკდესი). გაზეთი „სე სუარი“ აქვეყნებს დეპეშას ლონდონიდან იმის შესახებ, რომ ინგლისის მეთვალყურეთა სუდეტის ოლქში გაგზავნის პროექტი ინგლისის მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრს ჰალიფაქსს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის ელჩთან სუდეტის ოლქში მეთვალყურეთა გაგზავნის შესახებ. მეთვალყურეთა გაგზავნის წინადადებას თან ახლავს ისეთი პირობები, რომელთა მიღებაც, როგორც სჩანს, არ შეუძლია ჩეხოსლოვაკიის მთავრობას.

ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქში ინგლისელ მეთვალყურეთა გაგზავნის გეგმა

ლონდონი, 26 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელი სტრენგი გუშინ ევროპაში გაემგზავრა. სტრენგი იყო ბერლინში, პრაღასა და პარიზში.

ზოგიერთ წრეებში აღნიშნავენ, რომ სტრენგის გამგზავრება დაკავშირებულია ინგლისის წინადადებასთან ინგლისის მეთვალყურეთა გაგზავნის შესახებ ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქში.

გენერალ ფრანკოს აგენტები ავყუებენ მაროკოელებს

პარიზი, 26 მაისი (საკდესი). ფრანგული ჟურნალი „კორესპონდანს დიპლომატიკ“ იუწყება, რომ მუსლიმანურ ორგანიზაციათა ბლოკის ხელმძღვანელმა ორანში (ალჟირი) შეიკ მოჰამედ საიდ ზაქირმა მოწოდებით მიმართა ყველა არაბსა და მუსლიმანს სრული განადგურების პირად მისულ მაროკოელთა ტრაღიკული მდგომარეობის გამო.

„შემდეგ 30 მომხსენებელი შეეხო რაიონულ თეატრებს და აღნიშნა, რომ მათი უმრავლესობა სუსტად მუშაობს, ვერ ასრულებს საწარმოო-საფინანსო გეგმებს.

ხალხის მტრებმა ცოტა ზიანი როდი მიაყენეს თეატრალურ ხელოვნებას. ისინი აფერხებდნენ და შლიდნენ თეატრალურ მუშაობას სარეწველო ცენტრებსა და რაიონებში. რამდენიმე წლის განმავლობაში სრულიად არ იყო თეატრი ისეთ დიდ ქალაქში, როგორიც არის ქუთაისი.

ამჟამად მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებანი მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის. განმტკიცებულია რაიონული თეატრების ხელმძღვანელობა, ისინი შევსებულია ახალი კადრებით. 1938 წლის შემოდგომიდან ჭუთაისში მუშაობას დაიწყებს ახალი სახელმწიფო თეატრი.

ამავე სხდომაზე თათბირმა მოისმინა სარეპერტუარო სექტორის უფროსის **ვ. დევაძის** მოხსენება თეატრების რეპერტუარის შესახებ.

— ამხანაგ ლ. ბერიას ისტორიულმა მოხსენებამ — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ — უდიდესი როლი ითამაშა გმირული პისებისა და სპექტაკლების შექმნაში ჩვენი რევოლუციური წარსულის თემებზე. ასეთი პიესებია „ნაპერწკლიდან“, „სულელი“, „ლადო კეცხოველი“, რომლებმაც საშუალება მისცა ჩვენს თეატრებს ეჩვენებინათ პროლეტარული რევოლუციის ბელადთა — **ლენინისა** და **სტალინის** სახეები. ძალიან კარგად გვიჩვენა ლადო კეცხოველის სახე მოზარდ მაყურებელთა თეატრმა.

გადადის რა რეპერტუარის დახასიათებაზე, მომხსენებელი ამბობს, რომ პიესების და თემების შერჩევის მხრივ მუშაობის საუკეთესო ნიმუშს იძლევა რუსთაველის თეატრი. იგივე არ შეიძლება ითქვას სხვა თეატრებზე, კერძოდ გრიბოედოვის სახელობის თეატრზე, რომელმაც დღემდე ვერ მოახერხა ქართული დრამატურგიის ნაწარმოებთა ჩვენება.

დასასრულ, მოსმენილ იქნა **პ. ჩხიკვაძის** მოხსენება თეატრების ფინანსიური ანგარიშგების შესახებ.

იმავე სხდომაზე დაიწყო კამათი მოსმენილ მოხსენებათა ირგვლივ.

რესპუბლიკური სათეატრო თათბირი

26 მაისს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ მოწვეული თეატრების დირექტორთა და სამხატვრო ხელმძღვანელთა პირველი რესპუბლიკური თათბირი.

თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. **გ. გოგუამ.**

პირველ სხდომაზე თათბირმა მოისმინა სათეატრო განყოფილების უფროსის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის **დ. ანთაძის** მოხსენება თეატრების მუშაობისა და ამოცანების შესახებ.

— თეატრალური კულტურის აყვავება საქართველოში, — სთქვა მომხსენებელმა, — მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო. ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში 5 თეატრი ძლივს ბოგინობდა, ახლა კი გვაქვს 45 თეატრი; 1937 წელს აღნიშნულმა თეატრებმა დოტაციის სახით მთავრობისაგან მიიღეს 16.235.000 მანეთი, მთელს ხელოვნებაზე კი დაიხარჯა 37.650.000 მანეთი.

თეატრთან ერთად გაიზარდა დრამატურგიაც. უკანასკნელ ხანებში საქართველოს თეატრების რეპერტუარი 70 პროცენტით ქართული ორიგინალური პიესებისაგან შედგებოდა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო რაიონულ თეატრებს და აღნიშნა, რომ მათი უმრავლესობა სუსტად მუშაობს, ვერ ასრულებს საწარმოო-საფინანსო გეგმებს.

ხალხის მტრებმა ცოტა ზიანი როდი მიაყენეს თეატრალურ ხელოვნებას. ისინი აფერხებდნენ და შლიდნენ თეატრალურ მუშაობას სარეწველო ცენტრებსა და რაიონებში. რამდენიმე წლის განმავლობაში

ამბ. ეკოვის საბერობის თბილისის მე-36 სკოლის მეოთხე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეები ციალა **ხარატიშვილი** და ნათელა **ბარკავა**.

მეორე ხუთწლედის სახელმწიფო საშინაო სესხი

(მეოთხე წლის გამოშვება)

ფაუგებელი გამოშვება

მოგებათა მეშვიდე ტირაჟის სავნოგარო ცხრილი*)

მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) **მოგებათა მე-7 ტირაჟში მოგებაა ხვდა სესხის ფაუგებელი გამოშვების ოთხასივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს** (მოგების თანხაში შედის ობლიგაციის ნომინალური ღირებულება)

სერიის № №	ობლიგაციის № №	მოგების რაოდენობა მანეთებით	სერიის № №	ობლიგაციის № №	მოგების რაოდენობა მანეთებით
07717	1—50	150	14496	1—50	150
07954	1—50	150	14739	09*)	500
08470	17*)	500	15193	17*)	1.000
08701	1—50	200	15820	26*)	500
08967	1—50	200	15867	1—50	200
09173	49*)	500	15873	1—50	200
09295	1—50	200	16157	1—50	150
09381	1—50	150	16876	1—50	200
09566	41*)	500	16948	22*)	500
09881	41*)	500	16968	1—50	150
11213	1—50	200	17061	1—50	200
11582	1—50	150	17257	07*)	500
10070	1—50	200	17435	1—50	150
10360	45*)	500	17562	1—50	200
10827	1—50	200	17648	46*)	500
10999	41*)	1.000	17667	16*)	500
11996	1—50	200	17786	02*)	500
12040	1—50	150	17812	1—50	150
12115	01*)	500	17915	35*)	500
12162	1—50	200	18079	48*)	500
12318	1—50	200	18228	1—50	150
12523	1—50	200	18405	47*)	500
12534	25*)	500	18607	1—50	200
12750	50*)	500	18658	11*)	500
12856	1—50	150	18879	1—50	150
13381	31*)	500	18916	26*)	500
13397	23*)	500	18975	50*)	500
13405	48*)	500	19390	44*)	500
13506	1—50	150	19442	1—50	150
13532	44*)	1.000	19626	1—50	150
13926	1—50	150	19686	1—50	150
14257	40*)	500	19818	1—50	150

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 150 მან. მოგება თვითეულს.

(დასასრული. იხ. გუშინდელი „კომუნისტი“).

სასამართლო

განაჩენი სამშრეღიაში მომხღარი მარცხის დამნაშავეთა საქმეზე

სამტრედია, 27 მაისი (ტელეგრ. სპეც. კორ.). დამთავრდა სამტრედიაში მომხდარი მარცხის დამნაშავეთა საჩვენებელი გასამართლება.

25-26 მაისს, მოწმეების დაკითხვის შემდეგ სასამართლომ მოისმინა ექსპერტიზის დასკვნა, რის შემდეგაც გამოვიდნენ პროკურორები ამხ. პოდოლსკი და გოგია. მათ მოითხოვეს მთავარი ბრალდებულების **ორაგველიძის**, დავითაძისა და მელნიკის დახვრეტა, ხოლო შემდეგნელ გვიშიანის განთავისუფლება.

სიტყვებით გამოვიდნენ ადვოკატები: ნოზაძე, კალანდაძე, ცაგურია, არონიშიძე, ჭარხალაშვილი, თევზაძე და ჭურდიანი.

27 მაისს მოსმენილ იქნა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები, რის შემდეგაც სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში და განაჩენის გამოსატანად.

საღამოს 8 საათზე გამოქვეყნდა განაჩენი. სასამართლოს დადგენილებით, ორაგველიძეს, მელნიკსა და დავითაძეს მიეზომათ დახვრეტა, მემანქანის თანაშემწეს ქეჩაყმაძეს — 5 წლის პატიმრობა, სადგურის მორიგეს კუპუხიძეს — 8 წლის პატიმრობა, რაც შეეცვალა პირობით სასჯელით, სადგურის უფროსს დოლიძეს—5 წლის პატიმრობა. შემდგენელი გვიშიანი განთავისუფლებულ იქნა.

განაჩენს დარბაზი აღფრთოვანებით შეხვდა.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პრაკაბანდისტისა და აგიტატორის სახლში

28 მაისს:

ალკა კაბინეტი — ამხ. ათაბეკოვის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა. დასწყისი საღამოს 8 საათზე.

○

სსკკ პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ბ. კ. კაკაურიძეს, ო. ა. ავაქოვს, ე. გ. ცხვედრიანს, ი. ტ. სილამაძეს, გ. ს. ისახანიანს, ი. ა. ფეიქრიშვილს, ნ. ვ. ლბრიბოვს, შ. ვ. ჭობულიას, რ. ზ. თამარაშვილს, ს. ე. დობროვოგინიძეს, ნ. ა. მამუკაშვილს, გ. მ. ელბაქიძეს, გ. ზ. ძეგველაშვილს, გ. ი. ხუცურიშვილს, ი. ი. ჯიოევს, ა. ი. კახდელაკს, ა. ა. ნადირაძეს, მ. პ. კოლესნიკოვს, დ. ხარჩამაძეს და პ. ბ. გოგიშვილს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის ქ. № 8, ოთახი № 6).

○

სსკ კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ეარლამ ს. ჩაჩუას სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის ქ. № 8, ოთახი 20).

პასუხისმგებელი რედაქტორი
პ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

28/V	მუდმ. ადგ. ტალ. № 198 ერთდრ. ბილ. სერია № 2 **გალეტი** **მალთაყვა**
29/V	მუდმ. ადგ. ტალ. № 202 **წყნარი დონი** ახალი შემადგენლობა.
30/V	**წარმოდგენა არ არის**

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი

28/V	წარმოდგენა 181 **სამშობლო**
29/V	წარმოდგენა 182 **სულელი**
30/V	წარმოდგენა 183 **სულელი**

დასაწყ. 8 საათზე.
სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

28/V	სათეატრო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა სადიპლომო სპექტაკლი უკანასკნელად **პირისპირ**
29/V	**ნაპერწკლიდან**

ეჟიში
ნ ონიანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. ბანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა ავადმყოფთა მიღება დილ. 10—12-დე საღ. 7—9-დე ნინოშვილის ქ. (ყოფ. აჯექსანდროვის) № 5. 6—2 1637

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937/38 წლის სეზონი

31 მაისს ღია წარდგენა გ. მდივანი
სამშობლო
დრამა 3 მოქმედებად და 6 სურათად.
დადგმა დ. ალექსიძის, მხატვარი დ. თავაძე, მუსიკა რ. გაბიჩვაძის.
სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე. 50

ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ., 135 — ახალი ხმოვანი კომედია **ვოლგა-ვოლგა** დასაწყ. 6-30

კომკავშირელი პლეხანოვის პროსპ., 91 — საზაფხ. შენობაში **ვოლგა-ვოლგა** დასაწ. 8-30; საზამთრო შენობაში **პეტრე I** დასაწყ. 6-30

დომკვრელი პლეხანოვის პროსპ., 125 — ახალი ხმოვ. ფილმები: 1) **ჰედრო**, 2) **უცხოელი ძალი** დასაწყ. 6-30

ხვარტაკი რუსთაველის პროსპ., 23 — მხატვრული ფილმი **ძარიშხალი** დასაწყ. 6-30

რ. ლუქსემბურგის სახ. ჯოოჯუაშვილის, 8 — ხმოვანი ფილმი **დაკარგული სამოთხე** რუსულ ენაზე. დასაწყ. 6-30

26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი — საზაფხ. შენობა **პეტერი** საზამთრო შენობა **ფიცი**

არენა კომპანიალური ქ., № 9 — ახალი ხმოვანი კომედია **ვოლგა-ვოლგა** დასაწყ. 6-30

კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222 — ხმოვანი კომედია **მდიდარი პარძლო** დასაწყ. 8-30

ახალი ამბები პლეხანოვის პროსპ., 125 — ხმოვანი კინო-ნარკვევი **1 მაისი მოსკოვში**

ღვინის კონსტრუქციების ქარხანა

ა უ წ ყ ე ბ ა

ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ ღვინის კონსტრუქციის ქარხნის ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3523 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.

სესხის მჭონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მჭონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. 1174

ნადი „წითელი მკერავი“, პლეხანოვის პროსპ. № 55

ა უ წ ყ ე ბ ა

ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, აუცილებლად გამოცხადდნენ „წითელი მკერავის“ ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3523 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.

სესხის მჭონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მჭონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1-ლ ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. 1143

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოსაგან

სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით გამოშვებული

1938 წლის სახელმწიფო საშინაო მოგებიანი სესხი და სწარმოებს 1929, 1930, 1932 და 1935 წლების სახელმწიფო საშინაო მოგებიანი სესხების კონვერსია

1938 წლის სახელმწიფო საშინაო მოგებიანი სესხი გამოშვებულია 600 მილიონი მანეთის ოდენობით, 20 წლის ვადით—1938 წლის 1 ივნისიდან 1958 წლის 1 ივნისამდე—200, 100 და 50 მანეთიან ობლიგაციებად. სესხის მთელი შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით.

20 წლის განმავლობაში ჩატარებული იქნება 120 ტირაჟი, 6 ტირაჟი წელიწადში.

სესხის მოგება დაწესებულია 25.000 მან., 10.000 მან., 5.000 მან., 1.000 მან., და 400 მან. რაოდენობით ობლიგაციის ნომინალური ღირებულების (ორასი მანეთის) ჩათვლით.

ყოველ ტირაჟში გათამაშდება მოგებათა შემდეგი რაოდენობა: 25.000-მანეთიანი 4 მოგება, 10.000-მანეთიანი 20 მოგება, 5000-მანეთიანი 120 მოგება, 1000-მანეთიანი 1200 მოგება და 400-მანეთიანი 4336 მოგება, სულ კი 5680 მოგება 3.834.400 მან. რაოდენობით.

ყველა ტირაჟებში გათამაშებული იქნება 681.600 მოგება 460.128.900 მან. რაოდენობით.

შემნახველი სალაროები აწარმოებენ ამ სესხის ობლიგაციების ნაღდ ანგარიშზე ყიდვას და გაყიდვას. ხელმოწერა ობლიგაციების ნაწილ-ნაწილ გადახდით არ იწარმოებს.

კონვერსიასთან დაკავშირებით 1929, 1930, 1932 და 1935 წლების სახელმწიფო საშინაო მოგებიანი სესხების ობლიგაციები გადაცვლილ უნდა იქნას 1938 წლის სახელმწიფო საშინაო მოგებიანი სესხის ობლიგაციებზე.

შემნახველ სალაროში შესანახად ჩაბარებული ან დაგირავებული ობლიგაციების გადაცვლა იწარმოებს ობლიგაციის მფლობელის პირადად გამოცხადებით ან მისი წერილობითი განცხადებით, რომელსაც დართული უნდა ჰქონდეს შენახვის მოწმობა ან გირავნობის ქვითარი.

ობლიგაციების გაცვლას აწარმოებენ შემნახველი სალაროები 1939 წლის 1 მარტამდე. ამ ვადის შემდეგ გადაუცვლელი ობლიგაციები ჰკარგავენ ძალას და გადაცვლილი აღარ იქნებიან.

ობლიგაციების მჭონეთ, რომლებიც არ წარადგენენ მათ გადასაცვლელად, შეუძლიანთ მიიღონ თავიანთი ობლიგაციების ხოშინალური ღირებულება ფულად 1939 წლის 1 მარტამდე.

შეიძინეთ 1938 წლის სახელმწიფო საშინაო მოგებიანი სესხის ობლიგაციები.

თვალი აღევნეთ მოგებათა ტირაჟებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

1179

„ზბილრაიზრანსპორტვეკი“, კონსტიტუციის ქ. № 3

ა უ წ ყ ე ბ ა

ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, აუცილებლად გამოცხადდნენ „ტბილრაიტრანსტორგპიტის“ ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3523 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.

სესხის მჭონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მჭონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. 1172

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ. № 16, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ — ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ № 34; ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘ: 3—06—88, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘᲡ—3—57—61, ᲡᲐᲡ ᲢᲧᲕᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲡ — 3—73—40. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 3—73—24; ᲐᲜᲐᲖᲦᲔᲑᲘᲡ—3—26—67, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ—3—51—81; ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ,